# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 22 მაისი, 2010 წელი.

№95 (6461)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.






## მთაწმინდა გულში იხუტებს...

მუხრან მაჭავარიანი

## საბა

ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან
ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა.

ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება.
ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე.
ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემა,
მეფეს ხალხზე უფრო კატა ეცოდება.

ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა:
– ოჰ... ოჰ... ოჰ... ოჰო!.. – თქვა და
თითქოს კიდეც ინანა.

მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა
(საბას ხმა როდი წაგავდა კნავილს კატისას!.
რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა
იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან
ელჩმან ქართლისამ.
– წვიმა არ არი!
საბას კაბა დაუსველა რამ?!
– თოვლი არ არი!
საბას თავი გაუთეთრა რამ?!
– ყინვა არ არი!
სულხან-საბას აკანკალებს რა?!
– რამ დაასველა?!
– რამ დაათეთრა?!
– რა აკანკალებს?!
საქართველოა
მისთვის:
წვიმაც,
თოვლიც და ყინვაც!..

...მზე ეთხოვება, ალბათ, ახლა ტურფა ტანძიას...
ეს სიცხადეა, სულხან-საბავ, თუ ფანტაზია?!

დედის ცრემლები ყაყაჩოს და ბალახებს აწვიმს,
ალვის ჩეროში სტირის დედა შვილს მოტაცებულს,
სტამბოლში შვილი დედას სტირის,
– ჰყიდიან ყმაწვილს
(სჯვრეტენ ჯვარის წინ
წმინდა ნინოს მუხლზე დაცემულს).

– რამდენს აფასებ მაგ პატარას?
– ჰკითხა სპარსულად
საბამ სპარსელს და მოუთმენლად ელოდა
პასუხს.
– უი, ქართველი მეგონა და სპარსი ყოფილა! –
წარმოსთქვა ბალღმა, ყური მოჰკრა რა საბას
სპარსულს.

– არა, პატარავ, ქართველი ვარ, ქართველი,
გესმის?!
– უი, დედასთან წამიყვანე, წამიყვან, ძია?..
საბას ცრემლები მოეძალა, ატირდა კაცი, –
თავის ბალღობა გაახსენდა, თავის ტანძია.

ვით ეს ყმაწვილი – საქართველოც ასე მცირეა,
საქართველოსაც, ვით ამ ყმაწვილს, ასე ჰყიდიან.
საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველისო,
– სასაცილოა!
შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია.

ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯოხიანი.
მხარდამხარ საბას ის პაწია ბიჭი მოსდევდა...
– მოგწყინდა განა უნაყოფოდ, ელჩო,
ყიალი?! –
გულს ნუ გაიტეხ! – მუხა კვლავაც შეიმოსება!
1949 წ.

## გზა, რომლითაც ქვეყანას ამ ხელისუფლებას ჩამოაშორებენ ②

„პროცესის შემქმნელი პოლიტიკოსები გვიჭირს, თორემ პრესკონფერენციის მომწყობები ბლომად გვყავს“

## ევროპაამ საქართველოს შესახებ გაიხსენა ⑤

## ექსტრასენსთა და ტიტანთა ბრძოლა 9

## ხელისუფლების მაღალჩინოსნის პარტია თავის რიგებში გაწევრების მსურველთ „სულ მცირე, 1000 დოლარს“ ჰპირდება ④

## ნინო ბურჯანაძე: თუ ხელისუფლების შეცვლას შევძლებთ, ნამდვილად ვიცი, როგორ შეიძლება რუსულ-ქართული ურთიერთობის ნორმალურ კალაპოტში მოქცევა ③

ნახევარი მსოფლიო მოსკოვში ალლუმს ესწრებოდა, ამ დროს კი სააკაშვილი კოსტა-რიკაში „ძროხების პარადს“ იბარებდა



ვარიანტები

**სახალხო სასამართლოს დაწყების პარალელურად, პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნის საინიციატივო ჯგუფმა სასტუმრო „სიმპათიაში“ მორიგი საკონსულტაციო შეხვედრა გამართა. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და კიდევ ერთხელ იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ შეიძლება ხელისუფლების შეცვლა. შეხვედრას პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი უძღვებოდა, რომელმაც საკმაოდ შთამბეჭდავი და საინტერესო მშრალი ციფრები მოაწოდა კოლეგებს:**

# გზა, რომლითაც ქვეყანას ამ ხელისუფლებას ჩამოაშორებენ

## „პროცესის შემქმნელი პოლიტიკოსები გვიჭირს, თორემ პრესკონფერენციის მომწყობები ბლომად გვყავს“

„საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია შემცირდა 20 პროცენტით, ხოლო 1986 წელთან შედარებით, მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა ასევე 20 პროცენტით. სამაგიეროდ 90-იანი წლების შემდეგ თანდათან იზრდებოდა უმუშევართა რიცხვი, რომელმაც 60 პროცენტს მიაღწია.

პური გაძვირდა 2-ჯერ, ხორცი – 4-ჯერ, შაქარი – 2-ჯერ, ბენზინი – 8-ჯერ, ელენერგია – 4,5-ჯერ, ლუდი – 6-ჯერ, წიგნი – 15-ჯერ, სკოლის სახელმძღვანელო – 10-ჯერ, ტაქსი – 3-ჯერ, მედიკამენტები – 10-ჯერ.

ელენერგიის წარმოება შემცირდა 2,5-ჯერ, დამუშავებული სახნავ-სათესი მიწა – 3,1-ჯერ, მარცვლეულის წარმოება – 9-ჯერ, თამბაქოს – 160-ჯერ, კარტოფილის – 2-ჯერ, ბოსტნეულის – 3-ჯერ, ჩაის – 60-ჯერ, პრაქტიკულად გაჩერებულია მრეწველობის წამყვანი დარგები.

სამაგიეროდ, მობილური კავშირის ტარიფის სიძვირით მესამე ადგილზე ვართ მსოფლიოში 212 ქვეყანას შორის, ხოლო გადასახადი რეალურ ტარიფთან შედარებით 5-ჯერ მაღალია. ელენერგიის ტარიფი რეალურთან შედარებით 2,5-ჯერ მაღალია, ბუნებრივი გაზის ტარიფი – 4-ჯერ. ამ დროს კი 2006 წლიდან მილსადენებში გამავალი გაზიდან 5 პროცენტი გვერგება სრულიად უფასოდ.

ბოლო დროს აღმოჩნდა, რომ საბიუჯეტო თანხები ჩარიცხულია კომერციულ ბანკებში, საიდანაც საკმაოდ სოლიდურ დივიდენდებს იღებენ ჩინოვნიკები, რაც სერიოზული კრიმინალია“.

მოკლედ, პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დასაყენებლად სხვა მიზეზი რა უნდა იყოს, თუ ომის დაწყებაშიც ჩვენსავე ხელისუფლებას არ დავადანაშაულებთ, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს ბრალდებებს. ამას დაემატება „სახალხო სასამართლოს“ გამოძიებული სისხლის სამართლის დანაშაულობები, რაც, ალბათ, გაუმართლებელს გახდის ხელისუფლებაში ნაციონალების ყოფნას, მაგრამ ჩვენი მთავრობა და კანონმდებლები წასვლას სულაც არ ჩქარობენ.

იმპიჩმენტის საკითხი პირველად ლეიბორისტებმა წამოსწიეს, როცა ლეიბორისტმა ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ამ პროცედურის დაწყება მოახერხეს პარლამენტში. ამის შემდეგ ამ საკითხით დეპუტატი გია ცაგარეიშვილი დაინტერესდა, მაგრამ, ბუნებრივია, ინიციატივა ურეაგირებოდ დატოვეს უმრავლესობის წევრმა დეპუტატებმა. მართალია, ორივე მცდელობა უშედეგო ფინალით დასრულდა, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით ისიც კარგია, რომ პარლამენტის შენობის კედლებში პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო.

ამჯერად, ეს იქნება მესამე ცდა, როცა პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტთა ჯგუფი ერთობლივი შეთანხმების შემდეგ დაიწყებენ ხელმოწერების შეგროვებას.

ყველაზე მისაღები ამ შემთხვევაში არის პრეზიდენტისთვის იმპიჩმენტის გამოცხადება რეფერენდუმის გზით. თუ როგორ უნდა მოხდეს ამ საკითხის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა, ამის შესახებ ქართველი იურისტები სტრასბურგში გადიან კონსულტაციებს, 25 მაისს საქართველოში დაბრუნდებიან და უკვე ჩამოიტანენ 8-9 გვერდზე ჩამოყალიბებულ ტექსტს.

**ხელისუფლების ცვლილების მისაღწევად ამ ეტაპზე გამოკვეთილია ორი გზა: ერთი, პარლამენტმა კი არ მიიღოს კონსტიტუცია, არამედ თავად ხალხმა მიიღოს რეფერენდუმის გზით. მთავარია, კონსტიტუციაში ჩაიწეროს მუხლი, რომ მიღების დღიდან 6 თვეში ჩატარდეს ვადამდელი პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნები. თუ ასე მოხდება, პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი გვერდზე იწევს. და მეორე, შესაძლებელია, პირდაპირ რეფერენდუმზე იქნას გამოტანილი ვადამდელი პრეზიდენტის არჩევნების მოთხოვნა.**

ჯერ ეს დეტალები დასაზუსტებელია, რაც იურისტების მოსაგვარებელია, თუმცა ზაქარია ქუცნაშვილი ამბობს, რომ მაქსიმალურად უნდა იფიქრონ პროცესზე, რომელიც პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნას თუნდაც მინიმალურ ლეგიტიმურ საფუძველს მისცემს. მისი თქმით, კარგია, რომ ზოგადად რაღაც აქტიურობა დაიწყო: „პროცესის შემქმნელი პოლიტიკოსები გვიჭირს, თორემ პრესკონფერენციის მომწყობები ბლომად გვყავს“, – აღნიშნა მან.

**სავარაუდოდ, არჩევნების შემდეგ მძლავრი პოლიტიკური პროცესები დაიწყება და, როგორც შეხვედრაზე ითქვა, არჩევნების ნებისმიერი შედეგის მიუხედავად, გამოიძებნება ლეგიტიმური გზა ხელისუფლების შესაცვლელად. მთავარია, მცდელობა ფიასკოთი არ დასრულდეს, რაც საბოლოოდ დააკარგვინებს საზოგადოებას ნდობას ოპოზიციურად განწყობილი ძალების მიმართ...**

ნია ფიფია

„სახალხო სასამართლო“

**2006 წელს პრეზიდენტმა პარლამენტის ტრიბუნიდან დამნაშავეთა სამყაროს ნულოვანი ტოლერანტობა გამოუცხადა. ამას იმთავითვე საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების კრიტიკა მოჰყვა. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, კრიტიკა სრულიადაც არ იყო საფუძველს მოკლებული, რაც პოლიციელთა მოქმედებებში გამოიხატა. ზოგიერთმა სამართალდამცავმა ჩათვალა, რომ სრული თავისუფლება მიანიჭეს, ამის გამო იმატა მათ მიმართ ბრალდებებმა და იმ დანაშაულების რიცხვიც გაიზრდა, რომელშიც პოლიციელები ექვმიტანილების სტატუსით მოხვდნენ. ამ პერიოდშივე მოხდა**



# პირველ საქმედ ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობა განიხილეს

**ზურაბ ვაზაგაშვილის გახმაურებული მკვლელობა კორტებთან, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ მომხდარ სკანდალურ მკვლელობათა შორის ერთ-ერთი პირველია და მასშიც პატრულის თანამშრომლები ფიგურირებენ.**

ოფიციალური ვერსიით ზურაბ ვაზაგაშვილი და მისი თანმხლები პირები შეიარაღებულ თავდასხმას ამზადებდნენ და პოლიცია მათ წინააღმდეგ სპეცოპერაციას ატარებდა, ცეცხლიც კი პირველმა ეჭვმიტანილებმა გახსნეს, რასაც პოლიციის საპასუხო ქმედება მოჰყვა. ზურაბ ვაზაგაშვილი პოლიციის ნასროლმა ტყვიამ მოკლა. შემთხვევის ადგილიდან 150-200 ტყვია ამოიღეს.

მართალია ამ საქმეს მსვლელობა მიეცა, მაგრამ დამნაშავეები რეალურად არ დასჯილან და ზურაბ ვაზაგაშვილის ოჯახის მტკიცებით, არც სასამართლო და არც გამოძიება ობიექტურად არ წარმართულა. ამჟამად საქმე სტრასბურგის სასამართლოშია, თუმცა ჯერ არ განხილულა.

სამაგიეროდ „სახალხო სასამართლომ“ პირველი სხდომა სწორედ ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეს მიუძღვნა. შეგახსენებთ, რომ პროექტი „სახალხო სასამართლო“ პოლიტიკური მოძრაობა „თეთრებისა“ და თავისუფლებისა და მშვიდობის ფონდის ერთობლივი ინიციატივაა. პროექტი მეცნიერთა ჯგუფმა უცხოელ ექსპერტებთან კონსულტაციებისა და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავა.

როგორც უკვე აღვნიშნე, „სახალხო სასამართლოს“ სხდომათა დარბაზში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით პირველ საქმედ ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის განხილვა დაიწყო. სხდომა სახალხო მოსამართლემ მინდია უგრეხელიძემ გახსნა, ხოლო სასამართლო დარბაზს სახალხო ბრალმდებელი გელა ნიკოლაიშვილი და ეკა ბესელია წარუდგნენ, მოპასუხე მხარეს ადვოკატი, ადვოკატთა ასოციაციის წევრი გრიგოლ გაგნიძე წარმოადგენდა.



სხდომის დაწყებამდე მინდია უგრეხელიძემ განაცხადა, რომ ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის მომჩივანი დაღუპულის მამა იური ვაზაგაშვილია, რომლის ოჯახიც გუშინდელ სასამართლო სხდომას დაესწრო. „სახალხო სასამართლომ“ მხედველობაში მიიღო და დააკმაყოფილა მომჩივანის მოთხოვნა და ამ საქმეს პრიორიტეტი მიანიჭა, ხოლო რაც შეეხება მის დაჩქარებული წესით განხილვას, მოსამართლე აცხადებს, რომ ევროსასამართლოს სტანდარტებით იხელმძღვანელებს.

გუშინდელ სხდომაზე მხარეებმა საქმესთან დაკავშირებით საკუთარი საბრალდებო და დაცვითი სიტყვა წარმოთქვეს. უნდა ითქვას, რომ ბრალდების მხარე (გელა ნიკოლაიშვილი და ეკა ბესელია) გაცილებით არგუმენტირებული და მომზადებული წარსდგა ნაფიცი მსაჯულებისა და მოსამართლის წინაშე, ვიდრე დაცვის მხარე (გრიგოლ გაგნიძე, რომელმაც ფაქტობრივად ვერც ერთ წარმოდგენილ მტკიცებულებას და მოსაზრებას დასაბუთებულად ვერ უპასუხა, გარკვეული საკითხების განხილვაც შემდეგი სხდომისთვის ითხოვა, უფრო მეტიც, გრიგოლ გაგნიძე აშკარად დაბნეულად გამოიყურებოდა, რაც მოსამართლეს არ გამოპარვია და მისი ზოგიერთი მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ბრალდების მხარემ შემდგომი სხდომისთვის, რომელიც 27 მაისს 12 საათზე გაიმართება, ათი მოწმის, მათ შორის დამოუკიდებელი ექსპერტის დაკითხვა მოითხოვა და ვიდეო და ფოტო მასალის წარდგენის უფლებაც მიიღო. დაცვის მხარემ მოწმეები არ წარმოადგინა, მაგრამ შეეძლება იმ მოწმეებს დაუსვას შეკითხვები, რომელთაც ბრალდების მხარე გამოიძახებს. საბოლოო ვერდიქტს ნაფიცი მსაჯულები ალბათ 27 მაისსვე დადებენ.

საინტერესოა, რომ პროექტი „სახალხო სასამართლო“ სატელევიზიო შოუდ იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ეთერში მის გაშვებაზე ყველა ტელევიზიამ უარი განაცხადა და არც პირველ სხდომას არ დასწრებიან, რაშიც „თეთრები“ ხელისუფლების ხელს ხედავენ და ითხოვენ, რომ მიეცეთ უფლება, „სახალხო სასამართლოს“ სხდომების ჩანაწერები მათ ვებ-გვერდზე მაინც განთავსდეს, რომ ფართო საზოგადოებამ, რომლისთვისაცაა განკუთვნილი ეს პროექტი, მისი ხილვა შეძლოს.

ანა წიწილაშვილი




ინფორმაცია

## იყიდე – გაყიდე, ქარვასლაა?!

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უკრაინისაგან საბრძოლო რაკეტები შეისყიდა, რაც შემდეგ ირანს მიჰყიდა. აღნიშნულ სკანდალურ განცხადებას გაზეთ „რეზონანსთან“ საუბარში „ეროვნული საბჭოს“ ლიდერი ზვიად ძიძიგური აკეთებს.

უშიშროების სამსახურის თანამშრომელზე დაყრდნობით ძიძიგური ამტკიცებს, რომ აღნიშნული თავდაცვის უწყების ყოფილი ხელმძღვანელის დავით კეზერაშვილის მინისტრობის დროს მოხდა.

– უშიშროებიდან მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ეს დაახლოებით 2-3 წლის წინათ მოხდა. ეს გაიგეს აშშ-ის შესაბამისმა სამსახურებმა და დღეს საქართველოს თავდაცვის ძალიან სერიოზული რევიზია მიმდინარეობს. სწორედ ამის გამოა გაქცეული დავით კეზერაშვილი და ამასვე უკავშირდება აშშ-ის ფედერალური ბიუროს უფროსის თბილისში ვიზიტი, – აცხადებს ძიძიგური.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელი რობერტ მიულერი საქართველოში ორი კვირის წინათ გასაიდუმლოებული ვიზიტით ჩამოვიდა. საზოგადოებისა და მედიისთვის ცნობილი მხოლოდ ის გახდა, რომ მიულერი შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს, ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილს შეხვდა.

## როგორ ჩატარდება აღლუმი?

26 მაისის აღლუმზე ქართველი ჯარისკაცები ახალი ფორმითა და ტექნიკით გამოვლენ.

რაც შეეხება აღლუმში მონაწილე სამხედროების რაოდენობას, სახმელეთო ძალების სარდლის გიგი კალანდაძის განცხადებით, ღონისძიებაში მონაწილეობას შეიარაღებული ძალების მხოლოდ ნაწილი მიიღებს, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმი 26 მაისს, ტრადიციულად რუსთაველზე გაიმართება. ამ მიზნით დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე – პარლამენტის შენობის წინ სპეციალური სცენის მონტაჟი უკვე მიმდინარეობს.

აღლუმის პირველი რეპეტიცია გაიარა ქართულმა ჯარმაც.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ აქტუალური ინტერვიუ

# ნინო ბურჯანაძე: თუ ხელისუფლების შეცვლას შევძლებთ (რაშიც დარწმუნებული ვარ), ნამდვილად ვიცი, როგორ შეიძლება რუსულ-ქართული ურთიერთობის ნორმალურ კალაპოტში მოქცევა

**ნახევარი მსოფლიო მოსკოვში აღლუმს ესწრებოდა, ამ დროს კი სააკაშვილი კოსტა-რიკაში „ძროხების პარადს“ იბარებდა**

***ხვალ ნინო ბურჯანაძე საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერშია მიწვეული. უკვე მერამდენე დღეა, რაც საქართველოში დაბრუნდა რამდენიმე ქვეყანაში ვიზიტის შემდეგ. და, ბუნებრივია, დიდია ინტერესი, თუ რას იტყვის ის უცხოეთში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ მიღებულ შთაბეჭდილებებზე.***

***ჩვენი გაზეთის მკითხველის ინტერესის დასაკმაყოფილებლად ნინო ბურჯანაძეს ოფისში ვეწვიეთ.***



**— ქალბატონო ნინო, სახელისუფლებო არხებზე პირდაპირ ეთერში ჯერ არ მიუწვევიხართ, არც პრესაში გამოჩენილხართ აქტიურად, თუმცა ჩამოსვლისთანავე, აეროპორტშივე დაიქადნეთ, რომ ისეთ რამეებს იტყოდით, რაც ხელისუფლებას არ მოეწონებოდა.**

— კვირა საღამოს პირველ არხზე ვარ მიწვეული. მანამდე კი, ეტყობა, ხელისუფლება საგანგებო შეტევებისთვის ემზადება, ვიდრე მე ეთერში გავალ. იმიტომ, რომ ბოლო დღეების განმავლობაში არ წყდებოდა ჩემს შესახებ სიუჟეტები.

**— რა ხდებოდა რუსეთში, რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდით? რა იყო იქ საინტერესო, ან, ასე ვთქვათ, სკანდალური, რასაც თქვენ დიდი ყურადღება მიაქციეთ?**

— შემიძლია გითხრათ, რომ სკანდალებს არ ვეძებ, ეს არ არის ჩემი ამოცანა. სკანდალებს დავუტოვებ იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ამ გზით ცდილობენ თავის დამკვიდრებას. რაც შეეხება რუსეთში ვიზიტს, იქ დავესწარი 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალს.

**— მიგიწვიეს, არა?**

— დიახ. ოფიციალური მოწვევა მივიღე. სტუმრის რანგში ვიყავი მიწვეული. მიმაჩნია, რომ იქ იმ დღეს აუცილებლად უნდა ყოფილიყო საქართველოს წარმომადგენელი. ფაშიზმზე გამარჯვების 65-ე წლისთავის აღნიშვნაში მთელი მსოფლიოს პროგრესული ნაწილი მონაწილეობდა, რადგან მნიშვნელოვანი თარიღი იყო. მით უფრო საქართველოსთვის, რადგან ჩვენმა წინაპრებმა ღირსეულად იბრძოლეს იმ ომში და ძალიან დიდი მსხვერპლიც გაიღეს. ჩვენმა ხელისუფლებამ ქუთაისში მემორიალი ააფეთქა. ამიტომაც ორმაგად მნიშვნელოვანი იყო მოსკოვში ქართველი ჯარისკაცების ხსოვნის მემორიალის ასლის დასადგმელად მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობა.

**— ამით შემოიფარგლა თქვენი ვიზიტი? სხვა მნიშვნელოვანი შეხვედრები არ გქონიათ?**

— როგორ არა, მნიშვნელოვანი შეხვედრებიც მქონდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია თავად აღლუმში მონაწილეობა. დასანანია, რომ საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, აღლუმისთვის ეყურებინათ, რადგან მათ კარგად უნდა იცოდნენ, რა ტიპის არმიასთან აპირებდა ერთ ღამეში ომის მოგებას ჩვენი „სახელოვანი მთავარსარდალი“. მიმაჩნია, რომ ძალიან ნიშანდობლივი და ყურადსაღები განცხადებები გაკეთდა 8 მაისს, როდესაც მემორიალს ჩაეყარა საფუძველი. დაწყებული ისეთი სიმბოლური ჟესტიდან, როგორიც იყო მემორიალის ქართული ეროვნული დროშის ფერებში გადაწყვეტილი თაიგულით მორთვა. ეს გაკეთებული იყო რუსული მხარის პროტოკოლით და ამით ხაზი გაესვა იმას, რომ საქართველო-რუსეთს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპზე უნდა აიგოს მომავალი ურთიერთობები. ჩემთვის მნიშვნელოვანი გზავნილი იყო ისიც, რომ მძიმე და გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა გამონახეს დრო, ქართულ დიასპორასთან საინტერესო შეხვედრის გასამართად.

ძალიან საინტერესო იყო პუტინთან შეხვედრა, სადაც იყო საუბარი რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე. ბევრი რამ იმედისმომცემი დავინახე ამ ვიზიტის ფარგლებში ზოგადად.

**— მართლაც ახსენა პუტინმა ოსეთი და აფხაზეთი საქართველოსთან საერთო კონტექსტში?**

— დიახ. ეს სიტყვა პირდაპირ ეთერში უნდა გადაეცა ჩვენს ხელისუფლებას, ობიექტურობის სურვილი რომ ჰქონოდა. მან ერთ კონტექსტში ახსენა ქართველები, აფხაზები და ოსები და გარწმუნებთ, რომ ეს არ იყო შემთხვევითობა. იმ ტექსტის ყველა სიტყვა იყო აწონილი, შეგნებულად მიზანმიმართულად ნათქვამი.

**— უშუალოდ თქვენს მიმართ როგორი დამოკიდებულება აქვს რუსულ პოლიტიკურ ელიტას. ალბათ, იქ კარგად ახსოვთ თქვენი კრიტიკული გამოსვლა რუსეთის დუმის 100 წლისთავზე.**

— მე ყოველთვის კარგად მხვდებოდნენ რუსეთში და ახლაც ასე მხვდებიან. მინდა გითხრათ, რომ საოცარ კეთილგანწყობას ავლენდნენ რიგითი მოქალაქეები აღლუმზე წითელ მოედანზე. ადამიანების უმრავლესობას ძალიან კარგად ესმის, რომ ვერანაირ კარგ ურთიერთობაზე ამ ორ ქვეყანას შორის საუბარი ვერ შედგება, თუ საქართველო დაჩაგრულის სტატუსით იქნება.

**— და რუსეთის ხელისუფლება მზად არის, რომ იმპერიულ ზრახვებზე უარი თქვას?**

— როდის იყო ასე?..

**— წარსული ხომ გვახსოვს?**

— თქვენ მონად გრძნობდით თავს რუსეთთან? მე არ ვგრძნობდი არასოდეს თავს მონად! ეს იყო ქვეყანა, რომელიც ნამდვილად არასწორ პრინციპებზე იყო აგებული, მაგრამ უამრავი მეგობარი, კოლეგა და ნაცნობი მყავდა, რომელთაგანაც ყოველთვის კეთილგანწყობას ვგრძნობდი. იცით რა, თუ მონა არა ხარ, მონად თავს ვერ იგრძნობ. გარწმუნებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მონად რუსეთში თავს არასოდეს არ გრძნობდა.

**— ანუ რუსეთთან, რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში ადვილი შესაძლებელია საერთო ენისა და საერთო ინტერესების გამონახვა?**

— რა თქმა უნდა. ის, რომ რუსეთს აქვს ამბიციები, გავლენის სფეროები ჰქონდეს არა თავის საზღვრებთან ახლოს, არამედ ლამის ლათინურ ამერიკაში, ეს არის რეალობა. ყველა დიდ სახელმწიფოს აქვს მსგავსი ამბიციები. პოლიტიკოსზე თუ რიგით მოქალაქეზეა დამოკიდებული, რამდენად შეძლებს ქვეყნის ინტერესების დაცვას.

დღეს რუსეთის ხელისუფლებაში ბევრ რამეს სხვაგვარად უყურებენ...

**— უფრო დემოკრატიულად?**

— მოდით, ასე ვთქვათ, უფრო რეალისტურად. ისინი კარგად ხედავენ და გრძნობენ, რომ საქართველოს თავისი ეროვნული ინტერესები აქვს, ამ ინტერესების უგულებელყოფის შემთხვევაში ურთიერთობები ვერ დალაგდება, არადა, რუსეთს სჭირდება ნორმალური ვითარება და უპირველეს ყოვლისა, მშვიდობა კავკასიაში.

სხვათა შორის, თქვენ ახსენეთ ჩემი გამოსვლა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, ყველას ჩამოუყალიბდა სტერეოტიპი, რომ მე იქ მათ გასაკიცხად ჩაველი. ვთქვი ის, რაც იყო მართებული: ანუ ვთქვი, რომ ურთიერთობები ვერასოდეს გამოსწორდება, თუ უარი არ ვთქვით ორმაგ სტანდარტებზე. რამე მიუღებელი იყო აფხაზეთში?! და ასევე ვთქვი, რომ აუცილებელია რუსეთმა და საქართველომ ახალი პოლიტიკა შეიმუშავონ კავკასიაში. 2003 წელსვე ვუთხარი პუტინს, რომ ყველა მტკივნეულ საკითხზე ვილაპარაკოთ ღიად, რათა შემდეგ ურთიერთნდობის საფუძველზე აიგოს ჩვენს ქვეყნებს შორის კავშირი-მეთქი. მაშინ ამის რესურსი მართლაც არსებობდა, რაც ვერ გამოიყენა ჩვენმა ხელისუფლებამ... ჩემი ჩათვლით.

**— შეხვდით თუ არა დიმიტრი მედვედევს. ითქვა, თითქოს უკრაინაში ერთსა და იმავე სასტუმროში იმყოფებოდით?**

— არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს ხელისუფლებამ გაავრცელა ჩემთვის სრულიად გაუგებარი მიზეზებით. მოტივი რა იყო, ვერ გეტყვით. მე ვიყავი სხვა სასტუმროში, სრულიად განსხვავებულ ადგილზე, ამიტომ ორჯერ ჩემი მისვლა იმ სასტუმროში, სადაც მედვედევი იმყოფებოდა, აბსოლუტური ტყუილია, ვერ დაგიდასტურებთ.

**— ზურაბ ნოღაიდელიც რუსეთში აღლუმზე იმყოფებოდა. ის კონკრეტული წინადადებებით დაბრუნდა — საჰაერო მიმოსვლა, რუსეთის ბაზრის ქართული პროდუქციისთვის გახსნა და არც თუ შორეულ მომავალში ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მაინც, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნება. თქვენ რა შედეგებით დაბრუნდით?**

— არ ვიცი, სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით დაბრუნებულ ტერიტორიებს ვერ ვხედავ. თუმცა, ვინც არ უნდა მიაღწიოს სასიკეთო შედეგებს, მე მივესალმები. სამწუხაროდ, ამის ნიშნებს ვერ ვხედავ.

ასეთ კონკრეტულ თემებზე რუსეთში არ ვლაპარაკობ. დღეს ჩემთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, ქართულ-რუსული ურთიერთობების რეალური გარღვევა მოხდეს. თუ ეს ურთიერთობა გლობალურად არ დალაგდა, აღდგენილი ფრენები შეიძლება ერთ საათში შეწყდეს... ამიტომ ჩემთვის მნიშვნელოვანია, ფართომასშტაბიანი მოწესრიგების ელემენტები გამოჩნდეს. ამ ხელისუფლებას ამის რესურსი არა აქვს და თავს ვერ გაართმევს. ამიტომ, თუკი მივაღწევთ ვადამდელი პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებას, რაშიც დარწმუნებული ვარ, პირადად მე ნამდვილად ვიცი, როგორ შეიძლება დაძაბული ქართულ-რუსული ურთიერთობის ნორმალურ კალაპოტში მოქცევა.

**— ხომ არ გიცდიათ, ქალბატონო ნინო, რუსეთის რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან ხელშეკრულების დადება ისე, როგორც ეს ზურაბ ნოღაიდელის პარტიამ, ან ქრისტიან-დემოკრატებმა გააკეთეს?**

— არა, მე რუსეთში პოლიტიკურ პარტნიორებს არ ვეძებ. პარტიული კონტაქტები შესაძლებელია გაღრმავდეს და გამყარდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსულ-ქართული ურთიერთობები ნორმალიზაციისკენ წავა.

რუსეთის ხელისუფლებისგან რომ მომესმინა, თითქოს რამე ტაბუდადებული თემა არსებობს ჩვენს შორის, ძალიან გამიჭირდებოდა პერსპექტივის დანახვა, მაგრამ პირიქით ხდება, უზარმაზარი კარტბლანში გაჩნდა რუსულ-ქართულ ურთიერთობაში.

იხ. 4 გვ.

◉ კონცეფცია

# ნატო-საქართველო: ღია კარის პოლიტიკა შენარჩუნებულია

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპული ინტეგრაციის კვლევითი ცენტრის“ ხელმძღვანელის ვასილ ჭყოიძის შეფასებით, ნატომ საქართველოს მნიშვნელობა კიდევ ერთხელ აღიარა. მადლენ ოლბრაიტის ხელმძღვანელობით, საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ ნატოს ახალ სტრატეგიულ კონცეფციას ექსპერტი „თბილისისთვის ძალიან მნიშვნელოვანს“ უწოდებს და მიიჩნევს, რომ მასში საქართველოს გაწევრების საკითხიც იქნება წარმოდგენილი.**

„კონცეფციაში პროექტის ავტორები პირდაპირ მიუთითებენ, რომ ნატომ დასავლეთ ბალკანეთთან, უკრაინასთან და საქართველოსთან მიმართებაში ღია კარის პოლიტიკა უნდა შეინარჩუნოს. პროექტში აღნიშნულია ისიც, რომ ნატომ უფრო აქტიური დიპლომატიური ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების აღმოფხვრაში. აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ ნატო-რუსეთის საბჭო რუსეთ-საქართველოს კრიზისის დროს სათანადოდ ვერ იქნა გამოყენებული. ამ დოკუმენტში ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი საქართველოსთან და უკრაიანასთან შემდგომი თანამშრომლობის გაძლიერება და ნატო-უკრაინისა და ნატო-საქართველოს კომისიების ფორმატის უფრო ქმედითად გამოყენება. ამ თვალსაზრისით აღნიშნული დოკუმენტი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ის აქცენტები, რომელიც საქართველოსთან დაკავშირებით გაკეთდა, ნატოს მხრიდან საქართველოს მნიშვნელობის აღიარებას ნიშნავს“, — განაცხადა „პირველთან“ საუბრისას ჭყოიძემ. ნატოს ახალ სტრატეგიულ კონცეფციასთან დაკავშირებით საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციები რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა. დოკუმენტზე საბოლოო გადაწყვეტილებას ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი ნოემბერში დაგეგმილ სამიტზე მიიღებს.

**აქტუალური ინტერვიუ**

# ნინო ბურჯანაძე: თუ ხელისუფლების შეცვლას შევძლებთ (რაშიც დარწმუნებული ვარ), ნამდვილად ვიცი, როგორ შეიძლება რუსულ-ქართული ურთიერთობის ნორმალურ კალაპოტში მოქცევა



(მესამე გვერდიდან)

**— თქვენი პასუხებიდან გამომდინარე, უკვე უხერხულია ამ კითხვის დასმა, მაგრამ მაინც გკითხავთ. რა კომენტარს გააკეთებთ იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს რუსეთში ქართველი პოლიტიკოსები ჩადიან არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ ევროპიდანაც და იქ იგეგმება რაღაც სერიოზული, ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ? ვგულისხმობ ირაკლი ოქრუაშვილის მოსკოვში ვიზიტებს, რაზეც ქართული პრესა წერს.**

— რუსეთის ხელისუფლებას არაფერში აძლევს ხელს აქ არეულობის მოწყობა. პირიქით, სააკაშვილმა მათ ხელში ჩაუგდო ყველაფერი, რისი მიცემაც შეიძლებოდა და იმაზე მეტიც, ვიდრე რუსეთს წარმოედგინა.

ნამდვილად ვერ გეტყვით დეტალურად, ვინ ჩადის ან ვინ არ ჩადის მოსკოვში. არა მგონია, ოქრუაშვილის რუსეთში ვიზიტი სინამდვილე იყოს, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას ევროკავშირის ტერიტორიის დატოვების უფლება არ აქვს.

ხელისუფლებას შეთქმულების თეორიები ძალიან მოსწონს, პანიკურად ეშინია ცვლილებების და ბურჯანაძის, რადგან აშკარად ხედავენ, რომ მე მაქვს საჯარო თუ სამუშაო უმაღლესი დონის შეხვედრები რუსეთში, უკრაინაში, მეზობელ სახელმწიფოებში, ევროპაში.

სულაც არ ვაპირებ, უკრაინაში ყველა ჩემი შეხვედრების შესახებ დეტალურად ვილაპარაკო, რუსეთის შეხვედრებისგან განსხვავებით, რადგან მოსკოვთან სპეციფიკური ვითარებაა. ვხვდები ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირებს და ნათლად ვხედავ, რომ ჩვენი ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაშია.

უკრაინასთან ამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააფუჭა. მართალია, ამბობენ, თითქოს არაფერი შეცვლილა, მაგრამ კატეგორიულად შემიძლია გითხრათ, რომ ამ ქვეყანასთან ურთიერთობები გაყინულია.

**— ხომ არ შეიცვალა ევროპელების დამოკიდებულება თქვენს მიმართ რუსეთში ხშირი ვიზიტებიდან გამომდინარე?**

— ევროპელებიც და ამერიკელებიც მხოლოდ პოზიტიურად უყურებენ ამ ვიზიტებს. ყველა, ვისაც შევხვდი, დადებითად აფასებდა ჩემს ჩასვლას რუსეთში. დღეს ყველა კარგად ხედავს, როგორი ხელისუფლების ხელში ვართ. თუნდაც ის, რომ მოსკოვში იყო ჩასული მთელი ევროპა და ნახევარი მსოფლიო ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად, ხოლო ამ დროს ჩვენი პრეზიდენტი კოსტა-რიკაში იყო და ძროხების „პარადს“ იბარებდა, ეს ძალიან ბევრის მანიშნებელია.

**— შიდა პოლიტიკაზეც უნდა გკითხოთ. თქვენ არ მონაწილეობთ არჩევნებში, მაგრამ 30 მაისს აპირებთ თუ არა არჩევნებზე მისვლას, როგორც მოქალაქე?**

— მე ჯერ ვერავის გამოვყოფ განსაკუთრებულად. ამ არჩევნებით არაფერი შეიცვლება. ხოლო იმ რეალობას და იმ პრობლემებს, რაზეც ვისაუბრეთ, თუნდაც ოპოზიციიდან არჩეული მერი ვერაფერს უშველის. ამიტომ, ოპოზიციამ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა ამ შემოთავაზებას დათანხმდა. ახლა მნიშვნელოვანია, მშვიდად ჩაიაროს არჩევნებმა, ხოლო საზოგადოებამ თავად დაინახოს, ვინ რა შეცდომა დაუშვა.

**— თქვენ ახსენეთ ვადამდელი პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნები, თქვენი აზრით, როგორ მიიღწევა ეს, მით უმეტეს მშვიდად ჩავლილი 30 მაისის შემდეგ?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ამისთვის აუცილებლად უნდა გავაგრძელოთ პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენ შევუერთდებით „სახალხო კრების“ ინიციატივას. უნდა მოვიაროთ რეგიონები და ხმა მივაწვდინოთ ხალხს სიმართლის და რეალობის შესახებ. ჩვენი საზოგადოების ადეკვატურობაში კი ეჭვი არ მეპარება.

**— ქალბატონო ნინო, რატომღაც თქვენი რუსეთიდან დაბრუნებისთანავე შეიქმნა აჟიოტაჟი „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუსთან დაკავშირებით. თუმცა ვანო მერაბიშვილის ინტერვიუს გამოქვეყნებისთანავე გამოთქვით ეჭვი, რომ გორის ცენტრი, სტადიონის, ძეგლის მიმდებარე ადგილები, შესაძლოა, სწორედ ჩვენმა ხელისუფლებამ დაბომბა. თქვენი ასეთი ვარაუდი ახლა რატომ გახდა სკანდალური, რამდენიმე თვის შემდეგ?**

— დიახ, მე მაქვს კითხვები, გამომდინარე ვანო მერაბიშვილის ინტერვიუდან. ყველა ჩვენგანს უფლება აქვს ჰქონდეს პასუხი ამაზე. ხელისუფლებამ არ გამოიძია ფაქტები.

ახლა შექმნილი აჟიოტაჟით ხელისუფლებას სურდა გადაეფარა აეროპორტში მომხდარი ფაქტი, როცა მთელი სოდი და კუდი შეყარეს და არარსებულ ფულს თუ, არ ვიცი, კიდევ რას ეძებდნენ ჩემს ბარგში. სინამდვილეში ვანო მერაბიშვილი არ არის ისეთი ძლევამოსილი, როგორიც უნდათ, წარმოაჩინონ. თუკი ვანომ ყველაფერი იცის, ყველაფერს უსმენს, ისიც უნდა სცოდნოდა, რომ რაც არ უნდა ეჩხრიკათ ჩემი ბარგი, უკანონოს ვერაფერს იპოვნიდნენ, არავითარი უკანონო შეხვედრები არ მქონია და იმიტომ. მითი, ვანოს ძლევამოსილების შესახებ ისეთივე ფასადურია, როგორც მითი ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატიულობის შესახებ. ასე რომ, მინდა, ხალხს მივმართო, არ შეეშინდეთ, არც ისე მაგარია ვანო!

**— ვანოსაც უსმენენ?**

— რა თქმა უნდა, ვანოსაც უსმენენ. ის სატელეფონო საუბრები, რაც ჩვენ მოვისმინეთ, რატომ გახდა საყოველთაო მსჯელობის საგანი, რატომ არავინ დაისაჯა? როგორ შეიძლება, შენი ქვეყნის სატელეფონო საუბრები ვიღაცისთვის ხელმისაწვდომი იყოს?! გამოდიან და აბრიყვებენ ხალხს, რუსები უსმენენო. რუსებს საშუალება თუ მიეცი, მოუსმენენ, აბა რას იზამენ. მაგრამ ჩვენი თავდაცვის მექანიზმები რას აკეთებენ, ძლევამოსილი შინაგან საქმეთა სამინისტრო რატომ არ უშლის ხელს? თუ იქნებ, შეგნებულად არ უშლის? — ეს კითხვებიც ხომ შეიძლება არსებობდეს?!

**— რას იტყვით პრეზიდენტის თვითმფრინავში 12-მილიონიანი კატაპულტირების კაფსულის ჩამონტაჟებაზე?**

— არ ვიცი. ეს ინფორმაცია არა მაქვს. პრეზიდენტი დაცული უნდა იყოს. მომწონს თუ არ მომწონს პრეზიდენტი, ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოებრივი ატრიბუტების წინააღმდეგი ვარ. უბრალოდ ესაა, რომ სასურველია პრეზიდენტი ნამდვილად პრეზიდენტი და ადეკვატური იყოს. სააკაშვილი არ არის პრეზიდენტი, რეალურად ვანოა პრეზიდენტი. ალბათ, ისიც დაცული იქნება... თუმცა არ ვიცი, ამაზე ახლა კომენტარს ვერ გავაკეთებ.

ესაუბრა
**თეა მოსია**

---

**SIC!**

# ხელისუფლების მაღალჩინოსნის პარტია თავის რიგებში გაწევრების მსურველთ „სულ მცირე, 1000 დოლარს“ ჰპირდება

*პარტია „დემოკრატიული განახლება — ჩვენი საქართველო გაბრწყინდება“, რომლის ლიდერები: საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე ურუზმაგ ქარქუსოვი და მისი მეუღლე, „წითელი ჯვრის“ პრეზიდენტი ნანა ყეინიშვილი არიან, მოქალაქეებს საკუთარ რიგებში იწვევს, წევრობის ანკეტებში სავალდებულო პუნქტს — პირადობის მოწმობების მონაცემებს ავსებინებს და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მათ და მათი ოჯახის წევრთა პირად საბანკო ანგარიშებზე სულ მცირე, 1000-1000 აშშ დოლარის ავტომატურად ჩარიცხვას ჰპირდება. ამასთან, პარტიის ხელმძღვანელი პირები საგანგებო ტრეინინგებზე მიწვეულ მოქალაქეებს, რომელთა უმრავლესობა დიდი ხანია, პენსიაზეა გასული და ანკეტების დამოუკიდებლად შევსებაც კი უჭირს, ქსელური მარკეტინგის ერთგვარი პოლიტიკური ფორმით თანამშრომლობას და პარტიაში რაც შეიძლება, მეტი წევრის მიზიდვას სთავაზობენ, რაც, დაპირების თანახმად, მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში შესაბამისად ანაზღაურდება, კერძოდ, ანგარიშზე იმდენი 1000 ლარი დაირიცხება, რამდენ წევრსაც მოიზიდავენ ისინი.*

ერთ-ერთ ასეთ ტრეინინგს, რომელიც ორი დღის წინათ ორთაჭალის №4-ში, ფინანსთა სამინისტროს შენობის წინათ გაიმართა, „პირველის“ კორესპონდენტებიც დაესწრნენ, რომლებმაც ვინაობა გასაგები მიზეზების გამო არ გაამჟღავნეს. ტრეინინგის მიმდინარეობისას დასმულ კითხვაზე, საიდან ექნება პარტიას სახსრები საბანკო ანგარიშებზე დაპირებული თანხების გადასარიცხად, ხელმძღვანელებმა დაუფიქრებლად განაცხადეს, რომ „სახელმწიფო ბიუჯეტიდან“. „ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. თქვენ არ იცით, რა მოცულობის გრანტები შემოდის უცხოეთიდან და იმისათვის, რომ ისინი ხალხს მოხმარდეს, მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა საჭირო. როცა ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში, ამ პრობლემას პირველივე დღეებში მივხედავთ. მთლიანობაში ამ პროგრამის განსახორციელებლად 4,5 მლრდ დოლარია საჭირო, ანუ 1000-1000 დოლარი — საქართველოს თითოეულ მოსახლეზე“, — განმარტა ტრეინინგის ხელმძღვანელმა. რაც შეეხება გამოყოფილი თანხის მიზნობრიობას, ასეთად მცირე ბიზნესის განვითარება დასახელდა და აქვე ხაზგასმით აღინიშნება, რომ მსგავსი პრაქტიკა დასავლეთის ბევრ ქვეყანაშია აპრობირებული, მათ შორის მეორე, მსოფლიო ომის შემდეგ — გერმანიაში და მან ყველგან გაამართლა.

აღსანიშნავია, რომ პარტია „დემოკრატიული განახლება — ჩვენი საქართველო გაბრწყინდება“, რომელსაც მისი ხელმძღვანელები პენსიონერ წევრთა მიერ უფრო იოლად დამახსოვრების მიზნით მოფერებითა და შემოკლებით „ჩვენებს“ უწოდებენ, ოფიციალურად 2009 წლის აგვისტოში დარეგისტრირდა. პარტიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს სახელმწიფოს ფინანსურ და ეკონომიკურ საქმიანობაში მოსახლეობის ჩართვა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა, სასამართლო სისტემის სრულყოფა, ჯანმრთელობის დაცვა, განათლების და ტრადიციების დაცვა და განვითარება, ხელისუფლების ნაკისრი ვალდებულებების მემკვიდრეობითობა და, რაც ყველაზე მთავარია, თითოეული მოქალაქის საბანკო ანგარიშზე 1000 აშშ დოლარის ჩარიცხვის გზით მოსახლეობის ფულადი მასით უზრუნველყოფა წარმოადგენს. პარტიის ხელმძღვანელთა მტკიცებით, ამჟამად „ჩვენებს“, მთელი საქართველოს მასშტაბით 45 ათასი წევრი ჰყავს. პარტიის ოფისი თბილისში, ორთაჭალის №4-ში მდებარეობს და ამ მისამართზე „ჩვენების“ რიგებში გაწევრება გასაუბრების შემდეგ ყველა მსურველს შეუძლია. ამისათვის მხოლოდ 10 კითხვისგან შემდგარი სპეციალური ანკეტის შევსებაა აუცილებელი პირადობის მოწმობის მონაცემების, მისამართის, ტელეფონისა და რეკომენდატორის სავალდებულო მითითებით. „თქვენი აქ მოსვლა იმას ნიშნავს, რომ სურვილი გაქვთ, რაღაც შევცვალოთ და დავსაქმდეთ. უპირველეს ყოვლისა, გეტყვით, რომ პარტია „ჩვენები“ არც ოპოზიციის მომხრეა და არც ხელისუფლების. 30 მაისის ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას არ ვღებულობთ. ჩვენი მიზანი ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებაა, რადგან დღეისათვის საქართველოში მცირე ბიზნესში მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტი, ანუ 60 000 ადამიანია ჩართული, როცა დიდ ბრიტანეთში, მაგალითად, ეს მაჩვენებლი 98 პროცენტს შეადგენს“, — განაცხადა ორი დღის წინათ გამართული ტრეინინგის დროს პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნანა ყეინიშვილმა და დასძინა, რომ პარტიის პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი მოქალაქეებისთვის ანგარიშზე 1000 აშშ დოლარის დასმაა, თავად საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ურუზმაგ ქარქუსოვის მიერაა შედგენილი.

„ჩვენ ვითვალისწინებთ ომისშემდგომი გერმანიის გამოცდილებას, როდესაც მინისტრ ერხარდის წინადადებით ყოველ გერმანელს 1000 აშშ დოლარი გამოეყო და 5 წლის განმავლობაში გერმანიის ეკომონიკა ფეხზე დადგა და აყვავდა. ამდენად, ჩვენ რაიმე ახალს არ ვიგონებთ, თუმცა აღნიშნული პროგრამის განხორციელება არსებული ხელისუფლებისა და საგადასახადო სისტემის პირობებში, როცა ქვეყანაში 6 გადასახადი და 12 მოსაკრებელია დაწესებული, ვერ იმოქმედებს. სწორედ ამიტომ აუცილებელია, თითოეულმა წევრმა მინიმუმ, 10 ადამიანი მაინც გააწევრიანოს და როცა პარტიას 300 000 წევრი ეყოლება, ამ პროგრამის დაწყება გახდება შესაძლებელი“, — განაცხადა ყეინიშვილმა. საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: პარტიას ე.წ. „ლიდერი ახალგაზრდები“ ჰყავს, რომლებიც „ჩვენების“ საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ძირითადად მეტროს სადგურებთან ავრცელებენ და მოქალაქეებს პარტიაში გაწევრებას სთავაზობენ. ამასთან, როგორც ერთ-ერთ სემინარზე პარტიის ლიდერმა განცხადა, კანონით, ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას პოლიტსაბჭო უნდა ჰყავდეს, რომლის შემადგენლობაში 21 წევრია, თუმცა „ჩვენების“ პოლიტსაბჭოში მხოლოდ 7 ადამიანი ფიგურირებს. აღნიშნულის მიზეზად ყეინიშვილი „გონიერი და ლიდერული თვისებებით დაჯილდოებული ახალგაზრდების აღმოჩენას და საბჭოში გაწევრებას“ ასახელებს. „ჩვენების“ პოლიტსაბჭოს არასრულობის მიზეზი ის კი არ არის, რომ ჩვენ 14 გონიერი ადამიანი ვერ ვიპოვეთ, უბრალოდ გვსურს, პოლიტსაბჭოში არა ჩვენი ახლობლები, არამედ ნიჭიერებითა და ლიდერული თვისებებით გამორჩეული ახალგაზრდები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ასეთი გონიერი ახალგაზრდა უკვე ვიპოვეთ. მაგალითად, ერთ-ერთმა ორ თვეში „ჩვენში“ 1000 ადამიანით გაამდიდრა და ეს შრომა მათ აუცილებლად დაუფასდებათ“, — განმარტა ტრეინინგზე ყეინიშვილმა. როგორც „პირველმა“ გაარკვია, კანონმდებლობის თანახმად, პოლიტიკურ ფიგურებს ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდშიც კი პარტიების დაარსება და ლიდერობა არ ეკრძალებათ. სხვა საკითხია, სამართლებრივად რამდენადაა გამართლებული ადამიანების პარტიაში მსგავსი ფორმით გაწევრება.

„საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი „ჩვენების“ ზემოაღნიშნულ საქმიანობას „წინასაარჩევნო მოსყიდვის კლასიკურ მაგალითად“ მიიჩნევს და აცხადებს, რომ „ქარქუსოვი ციხეში ჩასმის ღირსია“. „წინასაარჩევნოდ ადამიანების პარტიაში მსგავსი ფორმით გაწევრება, თანაც იმ პარტიაში, რომლის ერთ-ერთი ლიდერი ხელისუფლების გუნდის წევრია, ამომრჩეველთა კლასიკური მოსყიდვის მაგალითს წარმოადგენს. თანამდებობის პირთა მხრიდან ეს უფლებამოსილების გადაჭარბება და სისხლის სამართლის დანაშაულია. ეს რომ მე გამეკეთებინა, ციხეში ჩამსვამდნენ, მაგრამ რადგან ის ქარქუსოვია და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი, დღემდე თავისუფლად მოქმედებს“, — განაცხადა ხატიაშვილმა.

**თელარა გელანტია**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „პუტინმა პრიმაკოვს შესთავაზა, ხელი მოჰკიდოს საქართველოს საქმეებს“

**ქართველი პოლიტიკოსები და ექსპერტები სულ უფრო ხშირად სვამენ საკითხს იმის შესახებ, ხომ არ არის უკვე დრო, დაიწყოს პირდაპირი მოლაპარაკება რუსეთთან. კავკასიაში 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტისა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ქართველებმა გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობანი რუსებთან. ამჟამად შუამავლის ფუნქციას ასრულებს შვეიცარია. მოსკოვი უარს აცხადებს საქართველოს ხელისუფლებასთან საუბარზე, სამაგიეროდ, რეგულარულად ღებულობს ოპოზიციის ლიდერებს, მაგალითად, პარლამენტის ყოფილ სპიკერს ნინო ბურჯანაძეს და ექსპრემიერს ზურაბ ნოღაიდელს. ამ დღეებში საქართველოში მყოფმა პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ალექსანდრ კვასნევსკიმ მოულოდნელად განაცხადა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობამ აცნობა მას, რომ მზად არის, აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთთან წინასწარი პირობების გარეშე. თბილისსა და მოსკოვს შორის დიალოგის პერსპექტივების შესახებ გვესაუბრება საქართველოს ექსპრეზიდენტი, სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, 82 წლის ედუარდ შევარდნაძე**

– ამჟამად გაჩნდა დიალოგის მხოლოდ პირველი ნიშნები. მოსკოვში იყვნენ ნოღაიდელი და ბურჯანაძე, ისინი მიიღო რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა. არის ასეთი დეტალიც: რამდენადაც მე ვიცი, პუტინმა გამოცდილ დიპლომატს ევგენი პრიმაკოვს შესთავაზა, ხელი მოჰკიდოს საქართველოს საქმეებს. ეს მხოლოდ დასაწყისია. მაგრამ დაწყება ყოველთვის ძნელია, ასე რომ, ეს უკვე კარგი საქმეა. უახლოეს პერიოდში გარღვევებს, ჩემი აზრით, არ უნდა ველოდოთ. რუსეთმა დაუშვა უხეში შეცდომა, როდესაც აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

– თქვენ ჟურნალისტებს უკვე დაუსახელეთ იმათი სახელები, ვინც შეიძლება იყოს საქართველოს სპეციალური წარმომადგენელი მოსკოვთან მოლაპარაკებაში...

– მე ვსაუბრობდი პარლამენტის ვიცე-სპიკერზე, ცნობილ მედიკოსზე ფრიდონ თოდუაზე, ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრზე ირაკლი მენაღარიშვილზე და რუსეთში ყოფილ ელჩზე ვაჟა ლორთქიფანიძეზე. პირველს კარგად იცნობენ რუსეთში, იგი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა იქ, შედიოდა კრემლის ექიმთა სიაში. მენაღარიშვილი და ლორთქიფანიძე – კარგი დიპლომატები არიან. შეიძლება ვილაპარაკოთ სხვა კანდიდატებზეც.

– თუ გაიზარდა რუსეთის გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში უკანასკნელ ხანებში?

– თუ საქართველოს არ ჩავთვლით, რომლის ნაწილიც ოკუპირებულია რუსეთის მიერ, არ შემიძლია ვთქვა, რომ შეინიშნება ასეთი გავლენის ზრდა. ყაზახეთი, უზბეკეთი დამოუკიდებელი არიან. იქ ისეთი ლიდერები არიან, რომლებიც ასე იოლად არ დაემორჩილებიან ნებისმიერ მძაფრ ბრძანებას. რაც შეეხება უკრაინას, იქ პრეზიდენტად არჩეულ ვიქტორ იანუკოვიჩს, ჩემი აზრით, შეუძლია ნაყოფიერი ზეგავლენა იქონიოს რუსეთთან ურთიერთობაზე.



– თქვენ იდექით საბჭოთა კავშირ-ამერიკის დაძაბულობის განტვირთვის სათავეებთან. ახლა როგორ განვითარდება ურთიერთობა მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის?

– რუსეთი და ამერიკა დაინტერესებული არიან, რომ გააუმჯობესონ ურთიერთობანი. ეს არ არის მიმართული მესამე ქვეყნების წინააღმდეგ. მე თავის დროზე ბევრს ვმუშაობდი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობასთან დაკავშირებით, შვიდჯერ შევხვდი ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელ პრეზიდენტს რონალდ რეიგანს. პირველი შეხვედრა იყო საშინელი, მეორე – შედარებით ნორმალური, მესამეზე მან უკვე ლანჩზე მიმიწვია. თავდაპირველად მას საბჭოთა კავშირი ბოროტების იმპერიად მიაჩნდა. ჩვენ ბევრს ვმუშაობდით მისი შეხვედრის მომზადებისთვის მიხეილ გორბაჩოვთან ჟენევაში 1985 წელს. მოლაპარაკების დასაწყისი გამაწბილებელი იყო. მე და ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი ველოდებოდით, სანამ ორი ლიდერი აწარმოებდა მოლაპარაკებას. გამოვიდა გორბაჩოვი და ცოტა ხნის შემდეგ თქვა: „ედუარდ, შეუკვეთე თვითმფრინავი, მივფრინავთ მოსკოვში. მასთან საქმის დაჭერა შეუძლებელია“.

– რა უპასუხეთ?

– რომ, თუ ახლა გავფრინდებით, ჩაშლას დააბრალებენ საბჭოთა ხელისუფლებას, კერძოდ, თავად მიხეილ სერგის ძეს. მაშინ დაგვეხმარა გორბაჩოვის მეუღლის რაისა მაქსიმოვნას პოზიცია. ჭკვიანი ქალი იყო, მან მხარი დამიჭირა და ქმარს უთხრა: „ედუარდი მართალია“. გადავწყვიტეთ გაგვეგრძელებინა მოლაპარაკება, და შემდეგ შეხვედრა მიმდინარეობდა ნორმალურად. ჟენევაში ეს მოლაპარაკება იყო პირველი შედეგი „ცივი ომის“ დამთავრების გზაზე. შემდეგ წელს მოლაპარაკება უკვე რეიკიავიკში გაიმართა. ჩვენს უკანასკნელ, მეშვიდე შეხვედრაზე რეიგანი უკვე ანეკდოტებს ყვებოდა. და არც ერთი არ გაუმეორებია! მე მას ვუთხარი, რომ ნამყოფი ვარ 60-ზე მეტ ქვეყანაში და არ შემხვედრია კაცი, ვისაც ამდენი ანეკდოტი სცოდნოდა. ამის შემდეგ რეიგანს, ჩვენ კი მასთან ნდობის ურთიერთობა გვქონდა, წამოსცდა, რომ მას რაღაც ემართება. მას ყველაფერი ახსოვდა, რაც 20 წლის წინათ გადახდა თავს, მაგრამ რა იყო წინა დღით – არა. ეს ალცგეიმერის ავადმყოფობა იწყებოდა...

– ამერიკის შეერთებული შტატების წინა პრეზიდენტთან ჯორჯ ბუშ-უმცროსთან საქართველოს ხელმძღვანელობას კარგი ურთიერთობა ჰქონდა, თბილისში მისი სახელობის ქუჩაც კი არსებობს. აი, ბარაკ ობამა კი ჯერ არ შეხვედრია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, თუმცა მან თითქმის მთელი აპრილი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაატარა...

– ვაშინგტონისა და თბილისის ურთიერთობანი ნორმალურია. როდესაც 2008 წელს რუსები შემოვიდნენ საქართველოში, პროტესტს აცხადებდა არა მხოლოდ ევროპა, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებიც. ბარაკ ობამას თავისი შეხედულება აქვს, მან ფრთხილი პოლიტიკა ირჩია. დარწმუნებული ვარ, რომ ის თავს გაართმევს ირანის პრობლემას, ვინაიდან რუსებმაც დაიწყეს ფიქრი, რომ ირანელები მართლები არ არიან. თუ ირანელები მარტო დარჩებიან, წააგებენ. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დამთავრდება ოპერაცია ავღანეთში. ამერიკელები არ უნდა შესულიყვნენ ავღანეთში, მაგრამ ეს იყო ჯერ კიდევ ბარაკ ობამამდე.

– საქართველოც მონაწილეობს ნატოს ოპერაციებში ავღანეთში, იქ 900-ზე მეტი ქართველი ჯარისკაცია.

– ალბათ, რაღაცას დაჰპირდნენ საქართველოს ამისთვის, მაგრამ მე იქ ჯარებს არ გავაგზავნიდი. მე თავის დროზე ბევრს ვმუშაობდი, რომ ავღანეთიდან გამოგვეყვანა საბჭოთა ჯარები. გადაწყვეტილება იქ კონტინგენტის შეყვანის შესახებ მიიღო პოლიტბიუროს სამმა-ოთხმა წევრმა. მაშინ გორბაჩოვი და მე – ის მაშინ იყო პოლიტბიუროს წევრი, მე კი წევრობის კანდიდატი – ბიჭვინთაში ვისვენებდით და ამის შესახებ გავიგეთ რადიოთი. მაშინ მას ვუთხარი: „ყველაფერი დალპა მაღლიდან დაბლამდე, ყველაფერი უნდა შეიცვალოს“.

– თქვენ ახსენეთ ბიჭვინთა –სახელგანთქმული კურორტი აფხაზეთში. როგორ უნდა მოაწესრიგოს საქართველომ ურთიერთობა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან?

– მე უკვე ვამბობდი რუსეთის შეცდომის შესახებ დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით. თუ აფხაზეთი ან სამხრეთი ოსეთი იმსახურებენ დამოუკიდებლობას, რატომ არ იმსახურებს ამას ჩეჩნეთი თავისი სამი მილიონი მოსახლეობით? დაღესტანი კი 4,5 მილიონით? ყველას სურს დამოუკიდებლობა. ინგუშეთსაც... ვფიქრობ, რომ, ადრე თუ გვიან, რუსეთის ეს შეცდომა გამოსწორდება. ან თავად რუსეთი გამოასწორებს, ან ვითარება შეიცვლება.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## დედამიწის ზურგზე



**იაპონური კოსმოსური იალქნიანი ხომალდი ვენერასაკენ გაემგზავრა, სადაც პრემიერის ცოლი „დაფრინავდა უცხოპლანეტელებთან“**

კოსმოსურ აპარატს „იკარუსს“ შეუძლია იმოძრაოს მზის სხივის წნევით. აგრეთვე კოსმოსში გაიგზავნა აპარატი „აკაცუკი“ (განთიადი), რომელიც უნდა მიუახლოვდეს ვენერას დეკემბერში და შემდეგ ორი წლის განმავლობაში იფრინოს მის ორბიტაზე, შეისწავლოს სხვადასხვა დისტანციიდან მისი კლიმატი.

* * *

**გაეროს ახალი სანქციები არ უშუშლიან ხელს რუსეთს, შეაიარაღოს ირანი С-300-ის კომპლექსებით**



ვაშინგტონი თეირანისთვის რუსეთის საჰაერო თავდაცვის რუსული კომპლექსების მიწოდების წინააღმდეგ გამოდის. მაგრამ რეზოლუციის პროექტი ამჟამინდელი სახით ამას არ კრძალავს. ექსპერტები მოუწოდებენ, დაელოდონ დროს, როდესაც დოკუმენტი საბოლოოდ იქნება მზად.

* * *

**აშშ-ის მეცნიერებმა პირველად შექმნეს „ხელოვნური სიცოცხლე“, მიიღეს სინთეტიკური უჯრედი**

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სინთეტიკური უჯრედის საშუალებით შეიძლება გამოვკვებოთ მსოფლიო, შევცვალოთ საწვავი და გავწმინდოთ ჰაერი დაბინძურებისგან. ამ ახალმა ამბავმა გამოიწვია პროტესტები და მოწოდებანი, გაყინონ გამოკვლევა – ეკოლოგებისა და სამართალდამცავების აზრით, საზოგადოება და მთავრობა არ არიან მზად ახალი საფრთხისთვის, რაც თან ახლავს ამ აღმოჩენას.

# ევროპამ საქართველოს შესახებ გაიხსენა

**ხუთშაბათს ევროპარლამენტი განიხილავდა რეზოლუციის პროექტს ევროკავშირის სტრატეგიის შესახებ სამხრეთ კავკასიაში. განსაკუთრებული ყურადღება სტრასბურგში მიმდინარე ამბებმა გამოიწვია საქართველოში. რეზოლუციის მიღების შემთხვევაში, პირველად საერთაშორისო დოკუმენტში, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით გამოიყენეს ტერმინი „ოკუპირებული ტერიტორიები“. ადგილობრივი არჩევნების წინ, რომელიც დანიშნულია 30 მაისისთვის და რომელსაც შეუძლია დიდი როლი შეასრულოს ოპოზიციასთან დაპირისპირების გადაწყვეტაში, საქართველოს ხელისუფლება შეეცადა რეზოლუცია წარმოედგინა, როგორც „უზარმაზარი მიღწევა საერთაშორისო არენაზე“**

ხუთშაბათს წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი მართლაც ასახავს ოფიციალური თბილისის პოზიციას სოხუმსა და ცხინვალთან დაკავშირებით. მასში არის მოწოდება ევროკავშირისადმი – გაააქტიუროს ძალისხმევა მედვედევ-სარკოზის შეთანხმების სრული რეალიზაციისთვის ჯარების გაყვანის დარგში პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედებათა დაწყებამდე 2008 წლის აგვისტოში. დოკუმენტი გმობს რუსეთის მიერ ქართული ავტონომიების სუვერენიტეტის აღიარებას, აგრეთვე ევროკავშირის ყურადღებას მიაპყრობს, რომ მიიღოს გადამჭრელი ზომები ამ რეგიონებში მეთვალყურეთა დასაშვებად. მთავარი კი, თბილისის აზრით, როგორც უკვე ითქვა – დოკუმენტში ტერმინის „რუსეთის მიერ ოკუპირებული და კონტროლირებადი ტერიტორიების“ გამოყენებაა.

„სანამ იმაზე დავიწყებდეთ საუბარს, თუ რას მისცემს ეს საქართველოს, მოდით, მაინც დაველოდოთ რეზოლუციის მიღებას“, – გვითხრა რეინტეგრაციის მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა. მისი სიტყვებით, დოკუმენტის მიღებას ამჟამინდელი სახით შეიძლება ხელი შეუშალოს მხოლოდ რუსეთმა. თუ ის ამას ვერ შეძლებს, მაშინ ეს გახდება ქართული მხარის წარმატება. „დოკუმენტში ასახულია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში



მომხდარი ამბების რეალურობა, საგნებს კი იქ თავისი სახელები ეწოდა: უცხო ქვეყნის ჯარების ყოფნა მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი თანხმობის გარეშე იწოდება ოკუპაციად. ყველა დანარჩენი – რუსეთის მიერ ჩვენი ავტონომიების სუვერენიტეტის აღიარება, დიპლომატიური მისიების გახსნა და ა.შ. – კრემლის ზღაპრებია უგო ჩავესისთვის“, – განაცხადა იაკობაშვილმა.

ხელისუფლებისგან განსხვავებით, ქართული ოპოზიცია ევროპარლამენტის სხდომას განიხილავს არც ისე დიდი „თრთოლვით“, მას მიაჩნია, რომ რეზოლუციის მიღებისგან ტერმინით „ოკუპირებული ტერიტორიები“ სინამდვილეში არაფერი შეიცვლება და ხელისუფლება არჩევნების წინ გაითამაშებს მორიგ სპექტაკლს მოსახლეობისთვის. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოწინააღმდეგეები ელექტორატს სთავაზობენ მეტი ყურადღება დაუთმოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ამასწინანდელ წარმოთქმულ სიტყვებს, რომლებიც ხუთშაბათს სტრატეგიულ გამოკვლევათა საერთაშორისო ცენტრში გაიმეორა სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჯეიმს სტეინბერგმა: აზრთა სხვადასხვაობამ საქართველოსთან დაკავშირებით არ უნდა შეუშალოს ხელი ვაშინგტონისა და მოსკოვის თანამშრომლობას.

პარლამენტის ექს-სპიკერი ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ამგვარი განცხადება მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულების შეცვლას საქართველოს ხელისუფლებისადმი და ადასტურებს სააკაშვილის რეჟიმის ფიასკოს, რომელიც მსოფლიო არენაზე რჩება მთავარი მფარველის გარეშე. ბურჯანაძის მეორე განცხადება, რომელიც მან წინა დღით გააკეთა, მეტად არადროული აღმოჩნდა ევროპარლამენტის ზემოხსენებულ სხდომასთან დაკავშირებით. ექს-სპიკერმა მოითხოვა დაიწყოს გორის ცენტრის დაბომბვის გამოკვლევა, რომელიც 2008 წლის აგვისტოში მოხდა. ბურჯანაძის სიტყვებიდან მოსჩანს ვარაუდი, რომ მას აქვს ერთგვარი ინფორმაცია, რომელიც ეჭვს იწვევს საქართველოს ხელისუფლების მონაწილეობასთან დაკავშირებით, თუნდაც ერთ აფეთქებაში ამ ქალაქში „თავისი ბინძური მიზნების რეალიზაციისთვის“.

საეჭვოა, რასაკვირველია, რომ ნინო ბურჯანაძის მოთხოვნა გამოხმაურებას მოიპოვებს, სამაგიეროდ, მეტად დიდია იმის ალბათობა, რომ თავად იგი ამის შემდეგ მოიპოვებს პირველ ადგილს „ერის მტრების“ სიაში. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკვე განაცხადეს, რომ კრემლმა გადასინჯა დამოკიდებულება თავის სამეურვეოებს შორის და ნოღაიდელსა და ბურჯანაძეს შორის გადაიხარა ექს-სპიკერის კანდიდატურისკენ.

თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ რუსეთის გეგმებმა საქართველოში ხელისუფლების შესვლასთან დაკავშირებით, რის შესახებაც დაუღალავად საუბრობს ოფიციალური თბილისი, ალბათ, განიცადა ზოგიერთი ცვლილებანი: მომავალ არჩევნებში არც ბურჯანაძე, არც მისი დემოკრატიული მოძრაობის წევრები არ მონაწილეობენ. ფავორიტად კი არჩევნებში, ზოგიერთი გამოკითხვის თანახმად, არის მმართველი ნაციონალური მოძრაობა თავისი კანდიდატით თბილისის მერობაზე, ქალაქის ამჟამინდელი მმართველით გიგი უგულავათი. სხვათა შორის, ოპოზიციური პრეტენდენტები ამ გამოკვლევებსაც სპექტაკლს უწოდებენ.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №166



# ო, მარგარიტა...

## რატომ არ დატოვა ავტოგრაფი მარგარიტა დე სევრიმ (მასალები მელოდრამისთვის)

*„ზუსტად 21 საათზე ფარდა იხდება, სიმებიანი საკრავების ორკესტრის თანხლებით, რომელსაც ცნობილი დირიჟორი ა. დალსიე უძღვება (რაც მისი მსმენელი ნ. ფიროსმანისთვის სულერთია). ვიწრო სცენაზე ახალგაზრდა და ტანწერწეტა მარგარიტა გამოდის. ცეკვა-ცეკვით. ასრულებს რამდენიმე პირუეტს და პეპელასავით დაფარფატებს... ჰაეროვანი მარგარიტა ოდნავ ეხება ოქროსფერი, რბილი მაშიებით უხეშ იატაკს და ხელახლა ცისკენ, წარმოსახვითი და საოცრად ხელშესახები ლაჟვარდისკენ მიფრინავს. გვერდით იარუსზე ფიროსმანს სუნთქვა ეკვრის. ქალის მოალერსე, გულში ჩამწვდომი ხმა გულის სიღრმიდან ამოდის, ფიორიტურების ლაბირინთში ეხვევა, სადღაც, შორს თითქოს ორმაგდება აღტაცებული მსმენელის გასაკვირად...*

*მეორე დღეს პრესა ხოტბა-დიდებითაა აღსავსე. განსაზღვრება „ორმაგი ხმა“ სამუდამოდ მიეკერება საგასტროლოდ ჩამოსულ ალზასელ ქალს. ფიროსმანზე მით უფრო ეფექტს ახდენს ღუღუნის და ჭიკჭიკის მსგავსი სიმღერის სიტყვები, რაც უფრო უჭირს მათი მნიშვნელობის გაგება“...* ***(გასტონ ბუაჩიძე, „ვარდები მარგარიტასთვის“).***

**ნიკო ფიროსმანის და ფრანგი „აქტრისა“ მარგარიტას უკვე კიჩად ქცეული მელოდრამა სხვადასხვაგვარადაა ინტერპრეტირებული.**

**ქალის გარეგნობას თუ ფიროსმანთან მისი ურთიერთობის ფორმას ასევე სხვადასხვაგვარად აღწერენ მოგონებებში, მემუარისტიკაში...**

**ცნობილია, საერთოდ, მემუარული ჟანრის სუბიექტივიზმი ისე, როგორც ლეგენდის თვისობრიობა – იდგეს სინამდვილეზე ოდნავ მაინც მაღლა.**

თუკი დოკუმენტურ აფიშას დავუჯერებთ, პოლონური წარმომავლობის ფრანგი „აქტრისა“ საქართველოში ჩამოვიდა მაშინ, როცა ფიროსმანი დაახლოებით ორმოცი წლის იყო. მხატვარი, თავისი ჰაბიტუსით, მანერებით, ალბათ მენტალიტეტითაც განსხვავდებოდა იმ მამაკაცებისგან, რომელიც „აქტრისამ“ აღმოსავლეთში ნახა.

გადმოცემის მიხედვით, მუშტაიდის რესტორანში გამოსვლისას, ქალმა განსაკუთრებული მზერა და ყურადღება მიაპყრო ნიკო ფიროსმანს (იმ ფორმით, როგორც შანტანების მსახიობებს ახასიათებთ).

„ვარდები აქტრისა მარგარიტასთვის“: ამ თემის რამდენიმე ვარიაცია არსებობს. ა. ვოზნესენსკის ტექსტის მიხედვით დაწერილი სიმღერა მილიონ ალისფერ ვარდზე მოგვითხრობს, რომელიც ღარიბმა მხატვარმა მსახიობ ქალს უძღვნა.

ვიქტორ შკლოვსკი წერს, რომ ფიროსმანმა თავისი დუქანი გაყიდა და აღებული ფულით შეიძინა ყველა ყვავილი (არა მარტო ვარდი), რომელიც იმ დღეს თბილისში იყო. დაიქირავა მეურმე, ყვავილები იმ ქუჩაზე მოფინეს, სადაც მარგარიტა ცხოვრობდა... მისი სასტუმროს კიბეებიც სავსე იყო ყვავილებით...

კ. პაუსტოვსკიც აღწერს ქუჩას, ყვავილებით მოფენილს. აღწერს მარგარიტას, რომელმაც ჩაიცვა თავისი ყველაზე ლამაზი კაბა და გაიკეთა სამაჯურები. საღამო ხანს კი მხატვარი თავისთან მიიხმო (იმ დღეს ნიკალა ორთაჭალის ერთ-ერთ დუქანში ქეიფობდა). იგივე პაუსტოვსკი ფრანგ „აქტრისას“ რატომღაც „შეუხედავ, წითურ და ხარბ ქალად“ წარმოგვიდგენს. ამგვარ ეპითეტებს სხვა წყაროებში ვერ იხილავთ.

„მომღერალი და მოცეკვავე კაფე-შანტანიდან – ფრანგი მარგარიტა იყო ლამაზი და მოხდენილი... ფიროსმანმა ის შეიყვარა სამუდამოდ“. – ასე ფიქრობს კირილე ზდანევიჩი.

ნიკო ფიროსმანის პარტნიორი დუქანში, მისივე ნათლიმამა, ვაჭარი დ. ალუგიშვილი ირწმუნებოდა: მთელი წლის შემოსავალი ნიკალამ გაფლანგა-გაანიავა, იმ აქტრისა ქალს დაახარჯაო.

იმ დაკარგულ ფულებზე სწუხდნენ და დაობდნენ ნიკალას აშენებულ სახლში, ნიკალასვე მოხატულ კედლებში მცხოვრები მისი და და სიძე. თითქოს ის ფულები ყოფილიყოს ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავი.

ამ ადამიანებმა, ყველაზე ახლო ნათესავებმა, ვერც ბოლო ცხრა წლის უნახავი ნიკალას სიკვდილი გაიგეს და არც საფლავი უნახავთ.

იმავე დამ და სიძემ, რომლებმაც ფრანგი „აქტრისა“ ძმის ხელგაშლილობის გამო შერისხეს, დაკარგეს და გაანიავეს ნიკალას რამდენიმე ნამუშევარი, მოხატული კედლები, პირადი წერილები, ფოტოები...

– **„ასეთი „დაკარგვა“ ადამიანისა ჩვენს ქვეყანაში პირდაპირ აუხსნელია“...** უთქვამს გიორგი ლეონიძისთვის დალაქ გოგიტაშვილს...

და მაინც, როგორი იყო მარგარიტა?

*„ნიკო მდიდარი კაცივით არ გამოიყურებოდა, მადმუაზელ მარგარიტას მისდამი ყურადღება ანგარებიანი არ იყო... – საუკუნის გადასახედიდან წერს მხატვარი* ***თემო ჯაფარიძე****. – ხალხში მისი მარგარიტასთან ურთიერთობა იმდენად მითიზირებულია, რომ მისი არალამაზ ქალად წარმოდგენა შეუძლებელი ხდება. ფიროსმანმა იგი თავისი დეფორმაციის მეთოდით დახატა. ისინი, ვინც ფიროსმანის იერსახისგან ნატურალურ მომხიბლავობას ითხოვენ, ნახატში ლეგენდას ეძებენ და არა მხატვრობას. ფიროსმანის დახატული მარგარიტა თავისი დეფორმაციის სიუშნოვეშია ულამაზესი. ამ სიუშნოვეში დიდი ინტიმი და სიწმინდეა გამოსახული. ეს, პატარა გოგონასავით გამოწყობილი ქალი ისეთი ძლიერი მხატვრული ვნებით არის დახატული, რომ შეუძლებელია ამ ვნებით აღწერილი ქალი ლამაზი არ იყოს. სილამაზე, ალბათ, სახის სტრუქტურაში და ელასტიკურ აღნაგობაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ იმ ტემპერამენტში, რაც ფიროსმანის მხატვრულ ენას გააჩნია მარგარიტას იერსახის ჩამოყალიბებაში“.*

* * *

იმათ, რომელთაც ალბათ ევროპაში „კურტიზან ქალებს“ უწოდებდნენ, ფიროსმანმა „ავლაბრის ტურფები“ დაარქვა. თვით სახელდებაც სითბოს და თანაგრძნობას გამოხატავს.

**„ზემოდან ამ ბედშავებს თეთრ ზეწარს ვაფარებ. თეთრი ფერით ცოდვებს მივუტევებო“... – ასე უბრალოდ და გასაოცრად განმარტავს თავის ფერწერულ ამოცანას ნიკო ფიროსმანი.**

**ეს მიზანია თავის თავში, რომლითაც ადამიანს ამაღლებს ყოველივე იმაზე, რაც მას ამარცხებს. თითქოს მხატვრობა უპირველესად თანაგრძნობაა... და ეს ნიჭი მხოლოდ დახატვისთვის არ არის მოწოდებული და ბოძებული...**

**„გრაფ“!** ასე მიმართავდნენ თურმე მას თბილისელი ღვინის ვაჭრები. **„გრაფ“! – ოდნავი ირონიით წარმოთქვამდნენ და ალბათ თვით ისინიც კი, რაღაც შინაგანი ფლუიდებით ხვდებოდნენ, რომ ეს სიტყვა სინამდვილის არსს გამოხატავდა: თავმოყვარე, კეთილშობილი, ფაქიზი, ბრბოსგან დისტანცირებული ადამიანის რაობას.**



## მელოდრამის ფინალი

1969 წელი, მარტი. *„პარიზის დეკორატიული მუზეუმის დარბაზები ფიროსმანის ტილოებს მასპინძლობს. თბილისის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, რომელსაც პარიზის ამ გამოფენის ორგანიზება აქვს დავალებული, ხედავს დარბაზში შემოსულ ოთხმოციოდე წლის ქალბატონს, რომელსაც, ასაკი, მაინცდამაინც არ ეტყობა. ქალის მღელვარე ღიმილი დასთამაშებს და გამოფენის კომისარს სთხოვს სურათი გადაიღოს* ***„აქტრისა მარგარიტასთან“ ახლოს, ანუ თავის თავთან ახლოს“...*** (ფრაგმენტი გასტონ ბუაჩიძის ესეიდან).

ამ გამოფენას თავისი პრეისტორია ახლავს, რის შესახებაც ცნობილმა ტელეჟურნალისტმა, ფრანგული ენის სპეციალისტმა, ქალბატონმა **ვალენტინა ხაზალიამ** გვიამბო. მაშინ, ცნობილი „რკინის ფარდის“ ეპოქაში, ქალბატონი ვალია, თავის მეუღლესთან გივი მელაძესთან ერთად, დიპლომატიური მისიით გახლდათ ბელგიაში, ბრიუსელში. ბატონი გივი ჯერ სსრკ-ს საელჩოში იყო. შემდგომ იუნესკოს წარმომადგენლობაში. იქვე, საკონსულოში, მუშაობდა ქალბატონი ვალია ხაზალიაც.

იუნესკოში ხშირად იმართებოდა საინტერესო შეხვედრები, საღამოები, კონფერენციები... ერთ-ერთ ამგვარ ღონისძიებაზე ქალბატონ ვალიას გააცნეს ხელოვნების კრიტიკის საერთაშორისო ასოციაციის წევრი **ჟან ა. კეიმი,** რომელიც როგორც აღმოჩნდა, არც საქართველოში იყო ნამყოფი და არც ფიროსმანის შემოქმედებას იცნობდა.

*„ის ერთხანს შეჩერდა, დამაკვირდა და მოკრძალებით მთხოვა, თუ ძალიან არ დაიღლებით, მომიყევით რაც კი იცით ფიროსმანზეო... მეც ვეცადე არ დამეკლო რა ნიკალასთვის, მისი, როგორც ხელოვანის, პირველი აღმომჩენებიდან – ფრანგი მიშელ ლე დანტიუს და ძმები ზდანევიჩებიდან დაწყებული... რაკი დაინტერესდა, იქვე დავპირდი, რომ ის უზრუნველყოფილი იქნებოდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორის, აკადემიკოს შ. ამირანაშვილის ინფორმაციითა და ფიროსმანის ნამუშევრების ფოტორეპროდუქციებით“...*

ჟურნალში „ქართული მწერლობა“ (№22) დეტალურადაა მოთხრობილი ამ შეხვედრის შემდგომი განვითარების ისტორია: ჟან ა. კეიმის და შალვა ამირანაშვილის წერილები, იუნესკოს „კურიერის“ მასალები, მზადება გამოფენისთვის და ა. შ.

მივუახლოვდეთ ფინალს, მელოდრამის საკვანძო ნაწილს. *„ექსპოზიციას მნახველთ თავად აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი და მხატვარი გიორგი მაქაცარია აცნობდნენ და მოხდა, შეიძლება ითქვას, არც თუ მოულოდნელი, მაგრამ საოცარი რამ: გამოფენის ერთ-ერთ გამორჩეულ ექსპონატს, რომელმაც ფიროსმანმა აქტრისა მარგარიტა დაარქვა, გამოეცხადა თავად მარგარიტა დე სევრი, ორი მანდილოსნის თანხლებით... და იდგა დიდხანს მდუმარედ, მისი ფიგურული კომპოზიციის წინ. შემდეგ ბატონ შალვასთვის მოუხსენებია, რომ მას მარგარიტა ჰქვია, ნამყოფია თბილისში. თან საჭიროდ ჩათვალა ეთქვა ეს ფრაზაც: „არ იფიქროთ, თითქოს ფიროსმანი მარგარიტას ქარაფშუტულად ექცეოდა, მას მარგარიტა რაინდულად უყვარდაო“...*

სხვა წყაროებში ვკითხულობთ: **„მე ფიროსმანი რაინდულად მექცეოდაო“.**

ეს ფოტოდოკუმენტი კი ინახებოდა აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის ოჯახში. ბატონ ჯ. ამირანაშვილის ინფორმაციით, ფოტოები გადაუღია მარგარიტა დე სევრის მეგობარს, პროფესიონალ ფოტოგრაფს ელენ ადამსს, რაღა თქმა უნდა, სათანადო ნებართვით. სხვაგვარად ლუვრში ფოტოაპარატით ერთი კადრის დაფიქსირებაც გამორიცხულია.

* * *

მარგარიტა დე სევრი ამ ე. წ. ფოტოსესიის შემდეგ სწრაფად გასულა დარბაზიდან. არც ავტოგრაფები დაუტოვებია და არც მისამართი. არც მოარულ ლეგენდებზე მიუცია განმარტება და ამ დღემდე დაუზუსტებელ კითხვებზე: რამდენი ხანი დაჰყო თბილისში, როგორი იყო მისი და ნიკალას ურთიერთობა...



## ეპილოგის მაგიერ

***„ფრანცუზები მოვიდნენ,*** – იგონებს ღვინის ვაჭარი ბეგო, ფიროსმანის კეთილისმყოფელი: – ***იმ ფრანცუზებმა უთხრეს ნიკალას: გინდა, საფრანგეთში წაგიყვანთო.***

*ნიკალამ მოახსენა:* ***„ჩემს საქართველოდან არსად არ წავალო!“...***

* * *

**და მაინც, მადლობა საფრანგეთს. უპირველესად ფრანგ მხატვარს და ჯარისკაცს მიშელ ლე**

დანტიუს, რომლიც თავისი სამშობლოს, საფრანგეთის გადარჩენისთვის ომში დაიღუპა სრულიად ახალგაზრდა... იქამდე კი ჩვენს სამშობლოში მხატვარი ნიკო ფიროსმანი აღიარა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გადაარჩინა. საფრანგეთის გაზეთებშიც გამოაქვეყნა წერილები უცნობი ქვეყნის უცნობ დიდ მხატვარზე... დიდი მადლობა ფრანგ ჯარისკაცს!..

მადლობას ვუძღვნით ფრანგ მსახიობ ქალსაც – მარგარიტა დე სევრის იმისთვის, რომ შთაგონება და თუნდაც მცირეხნიანი სიხარული მიანიჭა ნიკო ფიროსმანს... იმისთვისაც, რომ ავტოგრაფის და მისამართის დაუტოვებლად გაუჩინარდა. ანუ: არ ისურვა მისთვის ძალიან პირადული სხვათა ინტერპრეტაციების საგნად ექცია... არც უეცარი პოპულარობა ისურვა, არც ჟურნალისტების შოუებში მონაწილეობა და გენიალური მხატვრის მუზად საჯარო აღიარება. მან უძვირფასეს მოგონებებთან ერთად ჩრდილში ყოფნა არჩია, მართალია, ფიროსმანის „აქტრისა მარგარიტა“ მიხეილ ბულგაკოვის მარგარიტასავით ოსტატის ცხოვრების დრამაში არ მონაწილეობდა, მაგრამ იგი განუმეორებელ ლეგენდარულ პერსონაჟად იქცა. ის იყო მიზეზი, რის შედეგადაც ნიკო ფიროსმანმა თავის ხელოვნებასთან ერთად კიდევ ერთი თემა თუ საიდუმლო დაგვიტოვა: როგორ შეიძლება ჩვეულებრივი ქალის გამარგარიტება ანუ საყვარელი ქალის გამარგარიტების მისტერია...

**ნინო ხოფერია**

*P. S. ისევ პარიზი, ხელოვნებათმცოდნე გულნარა ჯაფარიძე 80-იან წლებში აღმოაჩენს ფერწერულ ტილოს, პორტრეტულ ეტიუდს, რომელზედაც გამოსახულია ნიკო ფიროსმანი. ავტორის ვინაობა არ არის მითითებული. და არც ის, თუ საიდან აღმოჩნდა ეს ნახატი საფრანგეთში...*

*ნ. ხ.*

# როდენის კვალი



ოგიუსტ როდენი „კოცნა“.

**„ბელით მედონში – ოგიუსტ როდენი“ – ეს მოკლე და ლაკონიური დეპეშა, რომელიც მაშინ ყველასთვის უცნობმა ახალგაზრდა მხატვარმა იაკობ ნიკოლაძემ მიიღო, მისი ცხოვრების შემობრუნებას ნიშნავდა. როდენი დიდ მოთხოვნილებებს უყენებდა ხელოვანს: „ჯერ ვერ ვნახე მოქანდაკე, ჩემი პრინციპები გაეგოო“.**

ი. ნიკოლაძის მოგონებიდან: **„ეს სფინქსი სცდიდა მათ, ვინც მასთან მიდიოდა“...**

სხეულის მოდელირების განუმეორებელი სინთეზი, იმპრესიონისტული მანერა და დიდი კლასიკური ტრადიციების გათვალისწინება მიზეზ-შედეგობრივ შემოქმედებით კავშირებს ქმნიდა და ქართველი მოქანდაკე ფრანგი მაესტროს გავლენის ქვეშ მოექცა. ეს დაახლოებით იმდაგვარი გავლენაა მისივე თაობის ქართველი პოეტები – „ცისფერყანწელები“ **სიამოვნებით მიღებულ აუცილებელ გავლენას რომ უწოდებდნენ** და რაც საკუთარი ინდივიდუალური გზის პოვნით იყო მოტივირებული.



შალვა ქიქოძე

საინტერესო მინიშნებას ზოგადად გავლენის თემის შესახებ თავად იაკობ ნიკოლაძე გვაწვდის თავის უნიკალურ წიგნში **„წელიწადი როდენთან“.**

7 წელი იცხოვრა ქართველმა მოქანდაკემ იტალიაში – დონატელის, მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩის სამყაროში... აღტაცებული უყურებს სკულპტურებით მოფენილ ფლორენციის უბნებს და უცებ იგრძნობს, რომ „ტიტანებმა“ სამუდამოდ მოაჯადოვეს ის... რომ საკუთარი „ფეხით სიარულს“ ვეღარ შესძლებს.

მას მერე, რაც ფლორენციაში მიქელანჯელოს მონებს დიდხანს უმზერდა, უეცრად და გადაწყვეტილებით დატოვა ეს ქალაქი და ქვეყანა... ვინაიდან თვლიდა, რომ დიდი ოსტატების დამატყვევებელი გავლენისგან ვერასოდეს გამოვიდოდა. ის საფრანგეთში ჩადის და როდენთან დამოწაფებას ცდილობს.

მაესტრო როდენთან მისვლა კი საკმაოდ რთული გახლდათ. მით უმეტეს, ასისტენტად გახდომა. მაგრამ ოსტატმა მიიღო მოსწავლე და სულ მალე ასისტენტად აქცია. როდენის ქართველ ასისტენტს უამრავი შემოთავაზება ჰქონდა ამერიკაში. სწორედ როდენის სახელის ბრენდით მას დიდ მომავალს და გამდიდრებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ნიკოლაძის პასუხი მაშინ ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა: **„მომიტევეთ, მაგრამ მე საქართველოში ვბრუნდები“...**

თუ რა დიდ ღირებულებებს წარმოადგენდა როდენის მხატვრული სკოლა, ეს ცალკე საუბრის საგანია, რასაც უაღრესად შთამბეჭდავად აღწერს ი. ნიკოლაძე წიგნში „წელიწადი როდენთან“.

ამჟამად ოგიუსტ როდენის კიდევ ერთი თანამედროვის და თაყვანისმცემლის ხელნაწერს წარმოგიდგენთ, რომელიც დიდი მოქანდაკის სიკვდილის დღეებშია შექმნილი და უკიდურეს ტკივილს და შეშფოთებას გამოხატავს. მისი ავტორი გახლავთ მხატვარი შალვა ქიქოძე, გასული საუკუნის ათიანი წლების ქართული ხელოვნების უნიჭიერესი წარმომადგენელი, რომელიც დაკრძალულია გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგში.



## ოგიუსტ როდენი

**მე არ ვიცი, რა სიტყვით უნდა გამოვხატო ის გრძნობა, ოგიუსტ როდენის სიკვდილმა რომ აახმაურა. მე არ ვიცი, რა სახელი უნდა დაერქვას ამ კაეშანს, რომელიც ყოველ ხელოვნების მოყვარულს ეწვეოდა როდენის სიკვდილის გაგებისას. მე ვიცი მხოლოდ, რომ ძნელია ამ ტრაგიკულ ცნობასთან ერთად დაწყნარებული ნერვებით ცხოვრება და ფორმის მშვენიერებაზე ილაპარაკო და იფიქრო...**

**მისთვის, რომ ცხოვრების და ფორმის მშვენიერება გენიალური ძლიერებით გამოკრთის როდენის მიერ გამოკვეთილ ყოველ კუნთში.**

**ვფიქრობ როდენის ძლიერებაზედ და თვალწინ მიდგას: „ომის სული“. ფრთამოტეხილი, მაგრამ უკვდავი ძახილით მოუწოდებს ძმებს სამშობლოს ხსნისკენ.**

**ვფიქრობ როდენის დიდ პატრიოტობაზე და „კალეს მოქალაქენი“ ჩამივლიან გვერდით. გაყვება ფიქრს როდენის მხატვრულ საფიქრალზედ და მთელი რიგი მის მიერ შექმნილ ფორმათა ვერ მომიშორებია თვალთაგან: „ევა“, „ხელი შემოქმედისა“, „კოცნა“...**

**როდენი ღრმა ფსიქოლოგი: მისი „ვიქტორ ჰიუგო“, „ბალზაკი“, რომელსაც მოჩვენებები წამოდგომიან თავზე.**

**როდენი ერთი იმ ბედნიერ ხელოვანთაგანი იყო, რომელსაც ბუნებამ არგუნა შეძლება მკაფიოდ, მთელის ძლიერებით გამოეთქვა ყველასთვის გასაგები მხატვრული ფრაზა.**

**როდენი ნამდვილი პრომეთე იყო, მშვენიერი ცეცხლი რომ მოსტაცა ბუნებას.**

**ვფიქრობ ოგიუსტ როდენის სიკვდილზე და ჩვეულებრივი ხასიათის კაეშანი შორს არის ჩემგან.**

**ვფიქრობ და კიდევ დაწყნარებული ნერვებით მინდა ცხოვრების და ფორმის მშვენიერებაზედ ვილაპარაკო და ვიფიქრო.**

**დავხუჭავ თვალებს და მომწვანო ბურუსში ვხედავ მშვენიერებას, თავისი სულიერი სილამაზით აზრს, გენიალურ მოქანდაკეს მარმარილოში რომ გაუქვავებია.**

**შალვა ქიქოძე**

# პოეტი-აკადემიკოსის მუხრან მაჭავარიანის ხსოვნას

## „...ასე მგონია, ვაბიჯებ ჰაერს, და ნელა-ნელა მივდივარ მაღლა“...

...ეს დიდი ხნის წინათ იყო...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი გადაჭედილია. სტუდენტები მუხრან მაჭავარიანს მასპინძლობენ.

– ვახტანგის ადგილს იჭერს ხეჩუა, გვეცლება ქართლი თვალ და ხელშუაო, – ბუხუნებს მუხრანი...

დარბაზი გრგვინავს, თუმცა ჯერ არ ვიცით, რა გველის ახლო მომავალში... თურმე, პოეტი გუმანით გრძნობს ყოველივეს, მაგრამ, პოეტს ვინ უსმენს...

„თუ ვინმე ფიქრობს,
დადუმდეს ენა,
ვერ მოესწრებით, არა და ვერა!
შოთა რომ არა,
ვაჟა რომ არა,
ტატო რომ არა,
კიდევ ჰო, მარა
ესენი როა,
ახლა კი დროა, სოლომონ რომა
კვლავ დაიქუხოს საქართველომა“.

დარბაზი ლამის დაინგრეს ტაშისგან. ზოგჯერ ზემოთ ავიხედავ, – თავზე ხომ არ დაგვემხობა-მეთქი ჭერი...

მტკიცედ ნაგებმა შენობამ მაშინ კი გაუძლო ოვაციებს, მაგრამ ცოტა ხანში უნივერსიტეტსაც და მთელ ქვეყანას თავზე დაგვამხობენ შინ ნაზარდი ბარბაროსები...

...მას შემდეგ, ვინ მოთვლის, რა დოლაბის ქვები დატრიალდა საქართველოს თავზე...

„...ცას ეხორცება ფიქრი
ჩემი ცასავით
ვრცელი... მზე ამოვიდა...
გახუნდა მთვარე...
ატირდებიან ბავშვებივით
ლექსები ჩემი, ოდეს...
ერთხელ და სამუდამოდ
დავხუჭავ თვალებს“, –
წერდა ბატონი მუხრანი
ოთხი ათეული წლის წინათ...

ვაგლახ, რომ ეს დღეც დადგა, ჩვიდმეტ მაისს, შოთა რუსთაველის თეატრის სცენაზე, როდესაც იგი თავის უფროს მეგობარს, ჭეშმარიტ პოეტსა და მამულიშვილს ფრიდონ ხალვაშს საიუბილეო თარიღს ულოცავდა...

ვინ იცის, რამდენი ინატრებს ასეთ სიკვდილს, მაგრამ ეს მხოლოდ უფლის რჩეულთა ხვედრია...

„ – ისე კარგია მაისის ღამე! ქუჩებიც ისე კარგია ახლა! ასე მგონია, ვაბიჯებ ჰაერს, და ნელა-ნელა მივდივარ მაღლა“...

წინასწარმეტყველური აღმოჩნდა პოეტის ეს სტრიქონები.

**ჯუმბერ ჯიშკარიანი**

# „თითქოს რაც მოხდა, მოხდა როსმე და არა წელან“

როცა ბრძოლის ველზე ეცემა კაცი, ამის მაგალითი უამრავია.

მაგრამ რაც 17 მაისს მოხდა, მართლაც შესანატრია. რუსთაველის თეატრში მეგობრის მისალმებისას ამაღლდა მუხრანის სული...

მოგონებები ირევა თავში, რომელი ერთით მოგმართო, მუხრან?! ალბათ იმ ბედნიერი წუთით, როცა 1972 წელს საჩხერის რაიონის პირველმა მდივანმა შალვა ჭიღლაძემ დამავალა, ამოვსულიყავი შენთან არგვეთში... და მეც ამოვედი, ამოვედი და განვცვიფრდი, იცი რით? შენი ბუმბერაზი დედის დეიდა თამარის გაცნობით, მამაპაპისეული ხის სახლითა და ომახიანი, ზარივით მჭექარე შენი ხმით, გაცნობამდე შენი პოეზიის თაყვანისმცემელი ვიყავი და შენგან წაკითხული ლექსი არ მომესმინა. მოვისმინე და სიკვდილის ბოლომდე იგი ჩემი სმენიდან არ გაქრება, ასევე, ალბათ სხვათა სმენიდანაც.



*ეს სურათი ჟურნალისტმა დემიკო ლოლაძემ 2010 წლის 17 მაისს გადაიღო რუსთაველის თეატრის დარბაზში, სანამ მუხრან მაჭავარიანი სცენაზე ავიდოდა და მეგობარ პოეტს – ფრიდონ ხალვაშს მიესალმებოდა. აქვეა პოეტის მეუღლე, ქალბატონი ლამარა ბოკერია.*

ამ გამოსათხოვარ ავთრათს (ბარათი სხვათა ენაა) შენი შემოქმედების განხილვის პრეტენზია არა აქვს, აქ მხოლოდ რამდენიმე მომენტს გავიხსენებ და ამით გულსაც მოვიოხებ, აწი ამ და სხვა მოგონებებით უნდა გესაუბრო.

შენ უზომოდ გიყვარდა შენი არგვეთი და არგვეთელები, არც სიყვარულს აკლებდი და არც გაკილვას, თუ ვინმე გასაკილი იყო – თომა იაშვილს ეზოში კოპიტების ქვეშ მაგიდა ჰქონდა და იქ ხშირად ვიკრიბებოდით ხოლმე, შენს ბიძას ბუჭუკას (ვიქტორიჩს) ვეებერთელა კაკლის ქვეშ, ვეებერთელა ქვის მაგიდა ედგა, აქაც, რა თქმა უნდა, იყო ქეიფი და ლექსების კორიანტელი. ერთი ასეთი სადილისას თომასა და ბუჭუკას მანსპინძლობაზე თქვი –

„თომას კოპიტნი, ეზო-ეზო
ქათმის კაკანი,
და ვიქტორიჩის სიამაყე
ქვა და კაკალი“.

ზემოთ დეიდა თამარი ვახსენე, სიცოცხლის ბოლო ხანებში იგი მძიმე ავადმყოფი იყო, ალბათ, არ არსებობს ბუნებაში ისეთი შვილი (ვაჟი), როგორიც შენ იყავი დედის მიმართ. ჰოდა იქ, იმ დიდ სოფელში ის იზრუნებს შენი ლექსის პასუხის გასაცემად:

„ის მოკვდა, ვისაც უყვარდა
ჩემი ლექსი და დანახვა.
ის მოკვდა, მაგრამ ჯერ კიდევ
ბევრია დღეს იმნაირი,
ჩემი კი არა, შოთასი
ვინც ვერ შაიგნა შაირი.
და ვფიქრობ, არის ნეტავი
რომ იყო სად უმჯობესი:
აქ, ამ ხანმოკლე სოფელში,
თუ იქ, იმ ხანგრძლივ სოფელში?!

შენ დღეს გადახვედი „ხანგრძლივ სოფელში“, მაგრამ შენი დიდი მამულიშვილობის, უმშვენიერესი ქართული ლექსის, ქვეყნის სიყვარულისა და მოყვასისათვის თავდადება გვაძლევს იმის უფლებას – დაგიდასტუროთ, რომ შენს საფლავზე და შენს სამშობლოში მუდამ იყვავილებს ქართული სიტყვა.

მშვიდობით მუხრან.

**ცეზარ ლაშხი.**

20.V-2010 წ.

№ 95. შაბათი, 22 მაისი, 2010 წელი.

# მე ქუხილისა, რომლის პოეზიაც ამოსულია ერის გულიდან

## საქართველოთი არის სოველი...

„ყოველი ტოტი და ტოტისტოტი
და ტოტისტოტისტოტი ყოველი
საქართველოთი თუა სოველი, –
ვინ ეშმაკია თვით სამოელი“

მუხრან მაჭავარიანის პოეზიის ყოველი ტოტი და ტოტისტოტი საქართველოთი არის სოველი.

ამიტომაც, ვინ ეშმაკია თვით... სიკვდილი.

„სიცოცხლეც მარტო იმიტომ მინდა,
რომ ჩემს საფლავზე ყაყაჩოსავით
ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა“.

რა თქმა უნდა, ასეც იქნება.
მაგრამ სად?

„რა გედენაა დიდუბის და
მთაწმინდის მიწა,
თუ სიკვდილია,
აი, წოლა მესმის შამქორში“.

იმედია, ამ ლექსს პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგებენ.

მუხრანის ადგილი, რა თქმა უნდა, იქაა, სადაც ანაა.

მჯერა, დადგება დრო და იქ ავა განუყოფელი პოეტური სამების მესამე წევრიც - ჯერჯერობით, უსამართლოდ დაჩაგრული მურმანი.

საერთოდ, იჩქარეს „მთაწმინდის დახურვა“.

„დაავიწყდათ“ კიდევ ერთი მთაწმინდელი – ქართული პროზის ცოცხალი კლასიკოსი (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს).

დღეს კი მუხრანი უნდა ჩაიხუტოს გულში მთაწმინდამ.

**იოსებ ჭუმბურიძე**



## „და რა დროს ჩემი სიკვდილია...“

„და რა დროს ჩემი სიკვდილია, – ჯერ არ ვშობილვარ!“ – ამბობდა მუხრანი. მაგრამ სიკვდილმა დახანება არ იცის. დიდი პოეტის სიკვდილი კი შემთხვევით არ მოდის... იწყება მეორე სიცოცხლე, ანუ ხელმეორე შობა სიკვდილში.

ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. პოეტი მუხრან მაჭავარიანი ასეთი რჩეულია.

ფილარმონიის მცირე დარბაზში გამართული საღამოც ამის დასტური იყო. პოეტის მეგობრები და კოლეგები შეიკრიბნენ და გაიხსენეს მუხრანი – გულითადი მეგობარი, დიდი პოეტი და ჭეშმარიტი ქართველი.



ლიტერატურული საღამო წიგნის მე-12 საერთაშორისო ფესტივალის ეგიდით გაიმართა, დარბაზში კი მუხრან მაჭავარიანის კრებულები გამოიფინა. გამომცემლობა „ინტელექტმა“ ბოლო 5 წლის განმავლობაში პოეტის ოთხტომეული, ორტომეული და 100 საუკეთესო ლექსი გამოსცა.

„ინტელექტის“ ხელმძღვანელის კახმეგ კუდავას თქმით, ამ საღამოს განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა, რადგან წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე ჩატარდა.

„ბოლო დროს იგი სხვა გამომცემლობებში არ მიდიოდა, ჩვენთან დაამყარა თბილი ურთიერთობა. ამ დღეებში, როდესაც საქართველო გლოვობს, საზოგადოებას „ინტელექტში“ გამოცემული მუხრანის წიგნები გვინდა წარვუდგინოთ,“- აღნიშნა კახმეგ კუდავამ.

ხსოვნის საღამოზე გაიხსენეს პოეტი – სიცოცხლით სავსე, ბუხუნა ხმით, ვისაც ბოლო დროს ამ ხმაში ბზარი შეეპარა, მაგრამ მაინც ვაჟკაცური, ომახიანი სიცოცხლეს ელტვოდა.

მაკა ჯოხაძე: „მუხრანი ყოველთვის მარტო იყო, მარტოა ახლაც და მომავალშიც მარტო დარჩება. ეს დიდი სიმარტოვე 90-იან წლებში დავინახე სიძულვილით გონებადაბნელებულ სამყაროში. ამ წლებში ყველაზე უკეთ გაცხადდა მისი მარტოობა, რასაც მტკივნეულად აღიქვამდა ახალგაზრდობა, რომელსაც გაიდეალება ახასიათებს. პოეტის ურყევი პოზიცია იმ პერიოდში ბევრს აძლებინებდა და სულს ითქვამდნენ“.

ვახტანგ ჯავახაძე: „მიხეილ ჯავახიშვილმა გიორგი ლეონიძეს ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლული პოეტი უწოდა. იგივეს ვიტყოდი მუხრან მაჭავარიანზე. ის არის ქართველი პოეტი. ის არის ღირსეული მთაწმინდელი. ყველა საუკუნის დიდი ქართველი პოეტი, რომელმაც სიცოცხლეშივე ჰპოვა აღიარება, ისე რომ მას დროის დისტანცია არ სჭირდება.“

გესიკ ხარანაული: „მუხრანი ახალი ქართული პოეზიის ერთ-ერთი ნიშანსვეტია, ურომლისოდაც მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურა წარმოუდგენელია. ყველაფერი ახალი მოიტანა თავისი ლექსით, პიროვნებით...“

ემზარ კვიტაიშვილი: „დამწვარი ქართველი იყო. შვილიშვილს ხომ არაფერი სჯობს, წარბს არ დავახამხამებ, ისე გავიმეტებ საქართველოსთვისო, ასე მითხრა.“

მუხრან მაჭავარიანი გაიხსენეს: ელდარ ნადირაძემ, ზაზა აბზიანიძემ, ლევან ბრეგაძემ, იოსებ ჭუმბურიძემ, გიორგი გოგოლაშვილმა, თინათინ მღვდლიაშვილმა...

და მახსენდება მუხრან მაჭავარიანის ლექსი: „ჩემი ეპიტაფია“ – წარწერა საფლავის ქვის ორივე მხარეს – ქვედაზეც, ზედაზეც – მკვდარმაც რომ წაიკითხოს და ცოცხალმაც.

„შენი არ იყოს, – ჩემო ირაკლი! –
ვერ ვიდევგმირე! – ვერ ვიწინაპრე! –
ჭირმა ჩემმა და ჩემმა სილაღემ! –
მამულმა შენებრ შემიწირა მე.“

ეს შეწირული კაცი დღეს მთაწმინდაზე დაივანებს და ეს იქნება სიცოცხლის გაგრძელება სანამ საქართველო იარსებებს – მარადიულად...

**თამარ შაიშმელაშვილი**

## ქართული პოეზიის რაინდი

თავზარდამცემი გამოდგა 2010 წლის 17 მაისი სრულიად საქართველოსთვის.

ქართულმა მწერლობამ, ქართულმა კულტურამ და ხელოვნებამ, ქართულმა სულიერებამ უმძიმესი, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადეს.

გარდაიცვალა თანამედროვეობის დიდი ქართველი შემოქმედი, ათასხუთასწლოვანი ქართული მწერლობის კორიფეთა ღირსეული შთამომავალი მუხრან მაჭავარიანი.

მუხრან მაჭავარიანი ქართველ პოეტთა უტეხი, ქედუხრელი, უმამაცესი ლეგიონის ერთ-ერთი უპირველესი წინამძღოლი და მეციხოვნე გახლდათ, რომლის სიტყვაც ისე ბრწყინავდა და კაშკაშებდა თავბრუდამხვევი ქართული პოეზიის ცის კაბადონზე, რომ ნებისმიერი ზიარება მის შემოქმედებასთან, მის ღრმა ნააზრევთან ღირსების გრძნობას მატებდა ქართველ კაცს, ახედებდა რა მას თავანკარა ქართულის იმ უმშვენიერეს მღვიმეებში, ჯერაც ხელუხლებელი, ულევი და საარაკო საგანძური რომ იმალება...

თითქმის ექვსი ათეული წლის განმავლობაში მუხრან მაჭავარიანი მართლაც რომ საღვთო ომში იყო ჩართული, ქართული სიტყვის, ქართული სულის, საქართველოს წარსულისა და მომავლის გადასარჩენად გამართულ ომში... ამ ექვსი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, არც ერთი საბედისწერო კატაკლიზმი, რომლის დროსაც მუხრანი უკან გამდგარიყო და ხმალამოწვდილს არ ებრძოლა ქართული სიწმინდეების დასაცავად...

მუხრან მაჭავარიანი დაიბადა 1929 წლის 12 აპრილს საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1949 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არაბული ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტად, რომელიც 1954 წელს დაასრულა. მას შემდეგ იგი უაღრესად ნაყოფიერად მოღვაწეობდა, მუშაობდა ჟურნალ „ცისკრის“ პოეზიის განყოფილების გამგედ, ჟურნალ „პიონერის“ მთავარ რედაქტორად, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რედაქტორად, ჟურნალ „დილის“ მთავარ რედაქტორად, ჟურნალ „საუნჯის“ მთავარ რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ და ყველგან ღირსეულად ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას, ყველგან ღრმა კვალს ტოვებდა, როგორც ჭეშმარიტი ერისკაცი და მამულიშვილი.

მუხრან მაჭავარიანის პოეტური ნათლობა 1949 წელს შედგა, როდესაც თსუ სალიტერატურო ალმანახ „პირველ სხივში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები. ნათლობა ჭეშმარიტად ფეხბედნიერი გამოდგა და საქართველოს მომავალი დიდი პოეტის დაბადება ამცნო. მას შემდეგ მუხრან მაჭავარიანის, საქართველოს უნაღდესი ჭირისუფლის, ღრმად ეროვნული, დიდი ადამიანური ვნებებით დამუხტული შემოქმედება სალბუნად ედებოდა ქართველობის სულსა და გულს, მის წუხილსა და ვარამს და თავისუფლების, სიკეთის, ერთგულების, ქედუხრელობის წმიდათაწმიდა იდეალებს აზიარებდა.

ქართველი მკითხველის სამაგიდო წიგნებად იქცა მუხრან მაჭავარიანის ისეთი პოეტური კრებულები, როგორიცაა „ლექსები“, „უნდა გახაროთ“, „წითელი მზე და მწვანე ბალახი“, „იარონ“, „თქვი“, „დუმილი რეკავს“, „ერთტომეული“, „ვითარცა მტკვარი“, „ვინც იყო, იგი რომ არა“ და მრავალი სხვა. ამ კრებულებით ჩვენ წინაშე წარმოდგა დიდი ეროვნული პოეტი, რომლის შემოქმედებაც ეხმაურება ყველა იმ წყევლაკრულვიან პრობლემას, დამოკლეს მახვილივით რომ ჰკიდია იბერიის თავზე... ფართო და მრავალმხრივი იყო მუხრანის პოეტური თვალსაწიერი, მხატვრული აზროვნების სივრცე. პოეტის მრავალწახნაგოვან შემოქმედებაში ერთმანეთს ჰარმონიულად ენაცვლება ეროვნული, პუბლიცისტური და სატრფიალო თემატიკა. მისი პოეზია უმძაფრესი კრიტიკულ-პოლემისტური პათოსითაა დამუხტული, რაც სრულიად გასაგებია მუხრან მაჭავარიანის შემოქმედების მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლებისთვის. მისი პოეზია ხომ იმ ემბაზშია განბანილი, სულხან-საბა ორბელიანის უწმინდესი ცრემლით რომაა სავსე. ბატონი მუხრანი მართლაც რომ სულიერი მემკვიდრე ბრძანდებოდა სულხან-საბასი, მთელი ცხოვრება უფორიაქებდა სულს მისი ფენომენი, სამშობლოს გადასარჩენად გაღებული მისი მოწამებრივი ღვაწლი და რუდუნება. სულაც არ არის შემთხვევითი, მუხრანი სულხან-საბას დარად დიდი სასოებით რომ იკვლევდა ძველ ქართულ სიტყვებს, რომელთა უმეტესობის კონკრეტული მნიშვნელობა მანამდე დაუდგენელი იყო. ყველაფერმა ამან ღირსეულად დაივანა მეცნიერულ-ლექსიკოლოგიური ხასიათის ნაშრომში, რომელსაც „რამდენიმე სიტყვა“ ჰქვია...

დიდი ტკივილებითაა გაჯერებული მუხრან მაჭავარიანის პოეზია. ან კი სხვა რაღა დარჩენოდა მაცხოვარივით ჯვარცმული ქვეყნის პოეტს, რომელიც თვალნათლივ ხედავდა გუგულის კვერცხებით მოპირთავებული სამშობლოს იავარქმნას, გული სტკიოდა, როცა მის თვალწინ ვახტანგის ადგილს ურცხვად იკავებდა ხეჩუა... თავის დროზე მუხრანს მოუწია გოლგოთაზე მაცხოვრის წამების ადგილზე დგომა და სწორედ მაშინ გაისიგრძეგანა, ალბათ, რომ მისი სამშობლოსთვის ბედისწერამ გოლგოთაზე უფრო ციცაბო და თავბრუდამხვევი იწროები გამოიმეტა...

აზრის სიცხადე და ემოციურობა, ხმის უჩვეულო, მოულოდნელი ჟღერადობა, ზუსტი და მყარი შინაგანი არქიტექტონიკა, რითმათა და ინტონაციათა არაჩვეულებრივი სიმდიდრე, პოეტური პლასტიკა და კომპაქტურობა მუხრან მაჭავარიანის პოეზიის ორგანული თვისებებია, რასაც ფესვები ეროვნულ ნიადაგში ჰქონდა გადგმული და სახელოვნად აგრძელებდა დიდი ქართველი კლასიკოსების ეროვნულ და მოქალაქეობრივ ტრადიციებს...

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ბულგარულ, ჩეხურ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე.. თავადაც ჩინებულად თარგმნა თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგია, ფინური ეპოსი „კალევალა“, ვლადიმერ მაიაკოვსკის, სერგეი ესენინის, პაბლო ნერუდას, იანკა კუპალას პოეზია.

დიდ და უაღრესად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. არჩეული იყო სსრკ სახალხო დეპუტატად, საქართველოს პარლამენტის წევრად და ყველგან საქართველოს ინტერესებს იცავდა...

საქართველომ დაუფასა ღვაწლი თავის დიდ შვილსა და მეციხოვნეს. მისი მრავალწლიანი შრომისა და რუდუნების სრულიად დამსახურებული აღიარება გახლდათ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოება. სულ ახლახან ქართველმა მწერლებმა თავის ძვირფას კოლეგასა და მეგობარს ქართველური პოეზიის რაინდის საპატიო წოდება მიანიჭეს. მართლაც რომ რაინდივით აღესრულა ეს უმშვენიერესი სულის მქონე პოეტი, აღესრულა, როდესაც კიდევ ერთ თავისეულ, მუხრანისეულ სიტყვას ამბობდა საქართველოს, ქართული ენის დასაცავად...

აღესრულა ისე, როგორც საქართველოს სპასალარები ეცემოდნენ ბრძოლის ველზე.

ახლა უკვე ზეციური საქართველოდან დაიცავს სამშობლოს ეს სწორუპოვარი პოეტი, რაინდი, ერისკაცი...

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

№ 95. შაბათი, 22 მაისი, 2010 წელი.

◎ ხედვა

# ექსტრასენსთა და ტიტანთა ბრძოლა

**12 მარტს რუსულ ტელეარხ THT-ზე დაიწყო სატელევიზიო შოუს — „ექსტრასენსთა ბრძოლის“ მე-9 სეზონი. ამ შოუში, რომელიც ორი წელია გრძელდება, მონაწილეობის მისაღებად, როგორც რუსეთის ყველა კუთხიდან, ასევე საზღვარგარეთიდანაც ჩამოდიან სხვადასხვა ჯურის მკითხავები, შამანები და მოგვები. ისინი ამტკიცებენ, რომ შეუძლიათ მომავლის დანახვა, შეუძლიათ სხვადასხვა დაავადების მკურნალობა და ადამიანებისთვის შვების მიცემა, მათი პრობლემების გადაჭრა.**

THT-საგან განსხვავებით, საქართველოს ტელევიზიები არ კმაყოფილდებიან რაღაც უბრალო შოუთი და უკვე დიდი ხანია სხვადასხვა სახის „მხსნელების“, ანუ ე.წ. პოლიტიკოსების ბრძოლის ასპარეზად არიან გადაქცეულნი.

როგორც ექსტრასენსთა მთავარი დევიზი „ღაღადებს“, იმისათვის რომ მკურნალობამ დადებითი შედეგი მოგვცეს, მთავარია, პაციენტს სჯეროდეს „მკურნალის“ შესაძლებლობები.

ისე, რა მაგის პასუხია და, ძალიან საინტერესოა, თუ ვის მოუვიდა თავში, „ეროვნული საბჭოსთვის“ სარეკლამოდ „მკლავჭიდური“ კლიპის გადაღების იდეა? ალბათ უგულავას, თორემ შინაური, „მოყვარე“ და მხარდამჭერი ამას რომ არ იზამდა, უეჭველია.

როცა ამ პოლიტიკურ რეკლამებს ვუყურებ (არა აქვს მნიშვნელობა, ფასიანია, თუ უფასოძ, „შუაქალაქელი“ თამარის ერთი ყოფილი ფრაზა მახსენდება, რომლითაც ფირმა „პრებედინას“ კლიენტებს მიმართავდა: — მომენდე!

არადა, როგორ არ უნდა ენდო, როცა ეს ჩვენი ასარჩევები სიტყვებს: „დასაქმება“, „უფასო ჯანდაცვა“, „უამრავი საკეთებელი საქმე“ დ.ა.შ „მწიფე მსხალივით ხრავენ“.

შედეგზე კი რა მოგახსენოთ.

ისე ექსტრასენსი ირაკლი ლომაია, იმ შემთხვევაში, თუ მკურნალობამ არ გაამართლა, პაციენტს გადახდილი თანხის 80%-ს უბრუნებს.

აი პოლიტიკოსები კი... ჰოო, რთული სიტუაციაა. აბა, მიდი და გადააყენე! შანსი არ არის. კონსტიტუცია არ იძლევა საშუალებას.

ამიტომ სიტყვაზე უნდა ვენდოთ. არადა, როგორი სანდოზია, როცა არც ერთ პოლიტიკოსს, არც ერთ „მოღვაწეს“, მცირეოდენი „შეშფოთების“ გარდა (ვეწევით ევროპას!ძ, ხმაც არ ამოუღია არც „იმედზე“ გასულ იმიტაციაზე და არც „კავკასიის“ პროვოკაციაზე (არ მითხრათ, რომ ჟურნალისტების წყენინებას ერიდებიანოძ, მაშინ, როცა „რუსთავი 2“-სა და „იმედზე“ თავიანთი ყოფნის დროს, სულ წამზომებით ანგარიშობენ.

ხმასაც არ იღებენ ყოველგვარი ქართულის დაუძინებელი მტრის, „თავისუფლების ინსტიტუტის წინააღმდეგ“, ხოლო ერთმანეთს ერთიანობის მიუღწევლობაში ადანაშაულებენ.

საბედნიეროდ, დიახ, საბედნიეროდ წლევანდელმა თვითმმართველობის არჩევნებმა, ყოველგვარი „სიმართლის დროისა“ და თორთლაძის „აქტების“ გარეშე, ლუსტრაცია მოახდინა.

ზუსტად ასევეა არჩევნებიც. მთავარია, რომ ამომრჩეველმა დაიჯეროს კანდიდატის და მას მისცეს ხმა. დანარჩენი კი უბრალოდ „ტექნიკის საქმეა“.

თუ გაამართლა არჩეულმა პიროვნებამ, ხომ კარგი, თუ არა და რა, ცოტა გვინახავს გაწბილებული „პაციენტი“?

დიახ, ძვირფასო მკითხველო, უნდა გვჯეროდეს. უნდა გვჯეროდეს, რომ „შედეგი გვაქვს უზარ-მაზარი“, უნდა გვჯეროდეს, რომ გაზი ათი თეთრი ეღირება და მიუხედავად იმისა, რომ უამრავი რამეა გასაკეთებელი, გაკეთებულიც საკმაოდ ბევრია.

არადა, ის „უზარ-მაზარი“ შედეგი, რომელზეც შარშან 26 მაისს ბატონი ზვიად ძიძიგური საუბრობდა, მართლაც მივიღეთ და ამას „უზარმაზარი იმედგაცრუება“ ჰქვია.

სწორედაც რომ, იმედგაცრუება, რადგანაც სხვა რომ არაფერი ვთქვა, ხელისუფლებასთან ყოველგვარ დიალოგზე, სიმღერ-სიმღერით ნათქვამი უარის შემდეგ, ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის მიღება დამარცხების აღიარებაა და თანაც ისეთი დამარცხების, როდესაც მუშტის დარტყმის ნაცვლად, მხოლოდ პწკენას ირჩევ.

ახლა არ მითხრათ, ერთად რატომ ახსენებ ძიძიგურს და ზურაბიშვილსო. ისინი ხომ სხვადასხვა ბლოკებში არიანო.

ერთად ვახსენებ, რადგანაც იმ სამნახევარი თვის განმავლობაში ყველანი, „ეროვნულსაბჭოელები“ და „ალიანსელები“, არჩევნებში მონაწილე და ნახევრადმონაწილე პოლიტიკოსები, ერთად იდგნენ პარლამენტის წინ დადგმულ სცენაზე („სცენაზე“ და არა „ტრიბუნაზე“ძ და არ იცოდნენ როგორ გაეშვათ თავიანთი მომხრეები სახლში (ხელისუფლებაზე რომ აღარაფერი ვთქვაძ.

არადა, ძალიან მაგარი იყო ბოლო „სიმართლის დრო“.

მაგარი იყო, რადგანაც ამ გადაცემაში ფაქტობრივად გადატანითი მნიშვნელობით აჩვენეს 30 მაისი.

როგორ?

როგორ და ძალიან მარტივად.

აჩვენეს კაცი, რომელიც ამტკიცებდა, რომ შარლატანი კი არა (ფრაზა ამოღებულია გადაცემიდანძ, ყველა „გაჭირვების ტალკვესია“.

ამ გადაცემას რომ ვუყურებდი, ყველა უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამა გამახსენდა.

დიახ, სწორედაც რომ ლუსტრაცია, მიუხედავად იმისა, რომ „მოდიან საქმით, აქვთ უზარმაზარი შედეგი, 10-თეთრიანი გაზი, უფასო ჯანდაცვა და კიდევ ბევრი რამ გასაკეთებელი“.

ერთხელ პრეზიდენტმა თქვა, ნანკა კალატოზიშვილი ავირჩიოთ ქალაქის მერადო. მე როგორც ყოველთვის, აქაც არ დავეთანხმები და ვიტყვი, რომ ნანკა, თავისი წითელი სკამით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რომ ყოფილიყო, გაცილებით უკეთესი შედეგები გვექნებოდა (ყველასთვის უკეთესი შედეგები!ძ.

ბევრს აღარ გავაგრძელებ და ვიტყვი, რომ „ტიტანთა ბრძოლა“ გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

ლუი ლეტერიეს ფილმი „ტიტანთა ბრძოლა“, სპეციალისტებმა უკვე შეაფასეს, როგორც 21-ე საუკუნის დასაწყისის საუკეთესო ფილმი.

ვნახოთ, როგორ შეაფასებენ ქართველ „ტიტანთა“ ბრძოლას ქართველი ამომრჩევლები, რადგანაც უცხოელი სპეციალისტების აზრი (იმ ქართველ „მემონიტორინგეებს“, რომლებსაც დასავლეთელი დონორები აფინანსებენ და მათებურად აზროვნებენ, მე უცხოელებად მივიჩნევძ, უკვე ძალიან დიდი ხანია ცნობილია.

ცესკოსთან კი „წითელი ხალიჩა“ ჯერ არ დაუფენიათ.

**გია გაბრიჭიძე**

◎ ინფორმაცია

## უაღრესად პოზიტიური აქტი და ლავროვის გაცვეთილი ფრაზები

**პოლიტოლოგი** სოსო ცისკარიშვილი ევროპარლამენტის მიერ საქართველოს საკითხზე მიღებულ ახალ რეზოლუციას „უაღრესად პოზიტიურ აქტს“ უწოდებს.



— ეს არის უაღრესად პოზიტიური აქტი. იმ ფონზე, როცა მსოფლიო შეეჩვია ორ რამეს - პირველი, რომ ამერიკა და რუსეთი თანამშრომლობენ ყველა საკითხში და მეორე, რომ ვერ თანხმდებიან საქართველოს საკითხზე, საერთაშორისო საზოგადოებისთვის შეხსენება იმისა, რა სიტუაციაა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში, საკმაოდ გამბედავი ნაბიჯი გახლავთ, მით უმეტეს, რომ არც თავად ევროპა გამოირჩევა მაინცდამაინც ვაჟკაცური დამოკიდებულებით არსებული პრობლემის მიმართ, — განაცხადა ცისკარიშვილმა ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაზე კომენტირებისას.

აღნიშნულ კონტექსტში, პოლიტოლოგი ფიქრობს, რომ „ევროპული სტრუქტურები, რომლებიც მეტი ყურადღებით ეკიდებიან საკუთარი პარლამენტის გადაწყვეტილებებს, რუსეთთან დიალოგისას საქართველოს თემას უფრო გააქტუალურებენ“.

ამასთან, ცისკარიშვილის აზრით, ევროპარლამენტის მიერ მიღებულ ახალ რეზოლუციას რუსეთის მხრიდან გაღიზიანება და შესაბამისად, „ლავროვის გამოსვლა მოჰყვება თავისი გაცვეთილი ფრაზებით“.

შეგახსენებთ, რომ ევროპარლამენტმა საქართველოს საკითხზე რეზოლუცია მიიღო, რომელშიც ცხინვალი და აფხაზეთი პირველადაა მოხსენიებული „ოკუპირებულ“ ტერიტორიებად. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტით ევროპარლამენტმა რუსეთს საქართველოს ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანისკენ, მსოფლიო სახელმწიფოებს კი, ჩვენი ქვეყნის მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღიარებისკენ მოუწოდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ სიახლე

# კახეთში ზეთისხილს გააშენებენ

**ზეთისხილის საქართველოში დაბრუნების ისტორიულ დღესთან დაკავშირებით სიღნაღის რაიონის სოფელ მაშნაარში კომპანიებმა „ჯეოლაივმა“ და „ქეფითალ ფართნერს ოფ ჯორჯიამ“ ზეთისხილის პლანტაციის პრეზენტაცია გამართეს.**

თურქეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენების მიერ დაფუძნებული კომპანიების „ჯეოლაივის“ და „ქეფითალ ფართნერს ოფ ჯორჯიას“ მიწვევით პრეზენტაციას დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც ზეთისხილის პირველი ნერგი დარგო.

აქ იმყოფებოდნენ, აგრეთვე, საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები.

სოფელი მაშნაარი სიღნაღიდან 3 კილომეტრში, წნორის მიმართულებით მდებარეობს.

შპს „ჯეოლაივი“ საქართველოში 2009 წელს დაფუძნდა. მისი დამფუძნებლები თურქეთში მცხოვრები ქართველები: ინეგოლის კავკასიური ფოლკლორის კავშირის ხელმძღვანელი მეჰმეთ ნური თაიარი, იზნიქის ილჩეს ბატმის კულტურის კავშირის ხელმძღვანელი იბრაჰიმ შენერი, ორჰანღაზის კავკასიურ კულტურათა ასოციაციის ყოფილი ხელმძღვანელი აჰმედ ქაჰრამანი და ოზეგე თექნიქ ფინდაჯელიქის დამფუძნებელი ალი სამი ოზელი არიან.

„ჯეოლაივის“ ქართველი პარტნიორია „კეპიტალ ფართნერს ოფ ჯორჯია“ (CPGძ ,რომელსაც სათავეში უდგას ახალგაზრდა ქართველი ბიზნესმენი და ქველმოქმედი გიორგი სვანიძე.

CPG დაფუძნდა გიორგი სვანიძის, მარკ ჰენეს დანიელის, ტომ სინგისა და რობერტ მაიკლ ვენკოს პარტნიორობით; CPG მილიონობით ინვესტიცია დააბანდა უძრავი ქონებისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში.

CPG 1200 ჰექტარ ნაკვეთს ფლობს კოლხეთის დაბლობში, გურიისა და სამეგრელოს რაიონებს შორის. კომპანიამ უკვე დააბანდა 1. 2 მილიონი ლარის ინვესტიცია აგრარულ სფეროში.

თურქეთის მხარემ ჩაატარა საფუძვლიანი კვლევა, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ კახეთში, იმერეთში, მარნეულსა და გურიის რეგიონებში ზეითუნის წარმოებისათვის შესაბამისი კლიმატი არსებობს. თურქეთიდან ჩამოიტანეს 20 000 ნერგი (წლის განმავლობაში ნერგების რაოდენობა 100 000 მიაღწევსძ. 2009 წლის დასწყისში თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლებამ სპეციალურად ამ პროექტისათვის კანონმდებლობაში შეიტანა ცვლილება, რომლის ძალითაც საექსპორტოდ გათავისუფლდა სერტიფიცირებული ზეთისხილის ნერგები. მომზადდა სავარგულები, დაიხნა და გაფხვიერდა აქამდე უნაყოფო და გამოუყენებელი მიწები.

2009 წლის 2 ივლისს 7-კაციანი სამუშაო ჯგუფი თურქეთიდან საქმიანი ვიზიტით ეწვია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს ბაკურ კვეზერელს.

თურქი ინვესტორები მზად არიან აღადგინონ ზეთისხილისა და ზეითუნის ზეთის წარმოება საქართველოში, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს; ამას მოწმობს დღემდე შემორჩენილი პლანტაციებიც. ბიზნესმენებს ექნებათ სახელმწიფოს მხარდაჭერა, რადგან აპირებენ პირველად წარმოებასთან ერთად გადამამუშავებელი წარმოების განვითარებასაც. ამ დარგში ათასობით ადამიანის დასაქმებაა შესაძლებელი, რაც თავისთავად დადებითად აისახება ქართულ ეკონომიკაზე. ზეთისხილის პლანტაციები მომავალში მცხეთამთიანეთში, ქვემო ქართლსა და კახეთშიც აშენდება.

**ქეთევან ზურაშვილი**

◎ სიახლე

# „მე ვკვდები სიხარულით“...

**20 მაისს ვაკის პარკის ტერიტორიაზე, იქ, სადაც 87 წლის წინათ ეროვნული გმირი კოტე აფხაზი და მასთან ერთად თოთხმეტი პატრიოტი დახვრიტეს, შეიკრიბნენ ისტორიულ საგვარეულოთა, თავადაზნაურთა და მათ თანამოაზრეთა კავშირის, მონარქისტული მოძრაობა „სამეფო გვირგვინისა“ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.**



ქალბატონმა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა და სხვა საზოგადო მოღვაწეებმა პატივი მიაგეს სახელოვან მამულიშვილთა ხსოვნას.

პატრიოტების სახელზე პანაშვიდი აღავლინა წმიდა მიხეილ ტვერელის ეკლესიის მოძღვარმა მამა ალექსანდრემ, ხოლო ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეებმა იგალობეს.

ამ დღეს კიდევ ერთხელ გაიხსენეს ის ავბედითი 20-იანი წლები, როდესაც ქართველმა მამულიშვილებმა ქვეყნის დაკარგული თავისუფლების დასაბრუნებლად ბრძოლა დაიწყეს. კოტე აფხაზი ერთ-ერთი ლიდერი იყო. 1921 წლის ბოლოს შეიქმნა ერთიანი სამხედრო ცენტრი, რომელშიც შედიოდნენ გენერალი ვარდენ წულუკიძე და კოტე აფხაზი.





1922 წელს ხევსურეთში ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და კოტე აფხაზის მეთაურობით მოეწყო აჯანყება. რუსეთის ჯარმა აჯანყება ჩააქრო, მაგრამ ეს იყო ეროვნული ამბოხებისა და ქართველი ერის გამოფხიზლების დასაწყისი. უკან დახევა დამღუპველი იყო. გადაწყდა, უპირველესად, თბილისი დაეკავებინათ და რუსის ჯარი განედევნათ.

1923 წლის თებერვალში დააპატიმრეს კოტე აფხაზი და მასთან ერთად სამხედრო ცენტრის თოთხმეტი წევრი: ა. ანდრონიკაშვილი, ვ. წულუკიძე, რ. მუსხელიშვილი, გ. ხიმშიაშვილი, ე. გულისაშვილი, ა. მაჭავარიანი, დ. ჩრდილელი, ს. მუხრანბატონიშვილი, ფ. ყარალაშვილი, ლ. კლიმიაშვილი, მ. ზანდუკელი, ი. კერესელიძე, ს. ჭიაბრიშვილი, ი. ქუთათელაძე.

ჩეკას სპეციალურმა კომისიამ მათ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა.

**„მე ვკვდები სიხარულით, რადგან საქართველოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანის ღირსი გავხდი. ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს“,** — ეს სიტყვები წარმოთქვა გენერალმა კოტე აფხაზმა დახვრეტის წინ და სიკვდილს გმირულად შეხვდა.

თბილისში ყოფილ ლესელიძის ქუჩას კოტე აფხაზის სახელი ჰქვია. ვაკის პარკში გამართულ ხსოვნის საღამოზე ითქვა, რომ ამ ქუჩაზე უნდა დაიდგას კოტე აფხაზის ბიუსტი, ხოლო მამულიშვილთა დახვრეტის ადგილზე ეკლესია აშენდესო.

**ნატა ნიბლაძე.**

მურად ალაშვილის ფოტო

◎ წყალბურთი

# ჩვენი ისეთი რამაა!



**„ოლიმპიკის“ საცურაო აუზში დასასრულს უახლოვდება წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის დეპარტამენტისა და საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ერთობლივი ინიციატივით აღდგა 20 წლის შემდეგ.**

ასპარეზობის მეორე დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საქართველოს და უკრაინის ნაკრები გუნდები. პირველი ორი ტაიმის შემდეგ მასპინძლები 3:6-ს აგებდნენ, ბოლო ორ პერიოდში კი ჩვენმა წყალბურთელებმა თამაშის მსვლელობაში გარდატეხა შეიტანეს და საბოლოოდ 10:8 გაიმარჯვეს. ქართველთაგან ბურთები გაიტანეს რურუამ, კორდიჩმა (3ძ, გეგელაშვილმა (3ძ, ქენქაძემ (2ძ და ბაღათურიამ.

მეორე მატჩში ბრიტანელებმა საკმაოდ იოლად სძლიეს ბელარუსებს – 13:6. კუნძულელთაგან 9 გოლი პარკერმა შეაგდო. ორი ტურის ჯამში მის ანგარიშზეა 12 ბურთი და ბომბარდირთა დავაში ლიდერობა.

◎ ტაბლო

# აქეთურ-იქითური

**ფეხბურთი. ეროვნული ჩემპიონატის უკანასკნელი ტური.** „ცხინვალი“ – „ოლიმპი“ 4:1, „ვიტ ჯორჯია“ – „ლოკომოტივი“ 3:0, „დინამო“ – „სამტრედია“ 4:1, „ზესტაფონი“ – „ბაია“ 4:0, „სიონი“ – „გაგრა“ 2:0.

**საბოლოო მდგომარეობა:** „ოლიმპი“ – 79, „დინამო“ – 74, „ზესტაფონი“ – 67, „ვიტ ჯორჯია“ – 64, „ცხინვალი“ – 43, „სიონი“ – 38, „სამტრედია“ – 37, „ბაია“ – 32, „ლოკომოტივი“ – 26, „გაგრა“ – 24 ქულა.

**ქალები. ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი.** „პოტსდამი“ (გერმანიაძ – „ლიონი“ (საფრანგეთიძ 0:0 (პენალტებით – 7:6ძ.



**ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური შეხვედრები.** რუსეთი – კანადა 5:2, ჩეხეთი – ფინეთი 2:1, შვედეთი – დანია 4:2, გერმანია – შვეიცარია 1:0.

**ნახევარფინალში ითამაშებენ:** შვედეთი – ჩეხეთი, გერმანია – რუსეთი.

◎ გიხაროდენ!

# ბათუმს სტადიონი ელირსება

**ბათუმის „დინამოს“ საფეხბურთო სტადიონი, რომელიც ზღვის პირას გასული საუკუნის 30-იან წლებში აიგო, ერთ-ერთი ულამაზესი იყო რეგიონში. არსებობის მანძილზე სტადიონი რამდენჯერმე გადაკეთდა. მის მწვანე მინდორს არაერთი საზეიმო წუთი ახსოვს.**

ძველი ბათუმელები დღესაც სიამაყით იხსენებენ 1972 წლის წვიმიანი შემოდგომის იმ დღეს, როდესაც ბათუმის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის პირველობის „ბ“ ჯგუფში გადასასვლელი მატჩი მოუგო კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“ და იმ დღიდან, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, წარმატებით ეკიდებოდა უზარმაზარი ქვეყნის სახელოვან კოლექტივებს. მერე იყო ეროვნული ჩემპიონატი და უეფას თასზე მონაწილეობა. მე თავად ვარ იმის მოწმე, როცა ბათუმის „დინამომ“ უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა, ევროპიდან ამ ორგანიზაციის კომისარი ჩამოვიდა სტადიონის ვარგისიანობის შესამოწმებლად. რაღა თქმა უნდა, დაიწუნა. ადგილობრივი ხელისუფლების თხოვნით ბათუმს ვადა მისცეს სტადიონი უეფას სტანდარტების შესაბამისად მოეწესრიგებინათ. თუმცა, არავის არ სჯეროდა, რომ 45 დღის განმავლობაში ეს მოესწრებოდა (გუნდის უეფას ტურნირზე დაშვება-არდაშვება 45 დღეში უნდა გადაწყვეტილიყო). მთელი ბათუმი სტადიონზე იყო დღედაღამ. ბევრი ადამიანი აქ საკუთარი სურვილით მოდიოდა და უხელფასოდ მუშაობდა. მაშინ კულტურის სამინისტროში ენთუზიასტთა ჯგუფი ჩამოყალიბდა და სამუშაოს შემდეგ სტადიონზე მომუშავე მშენებლებს ვეხმარებოდით. ასე იყო სხვა ორგანიზაციებშიც. ბათუმელები ღირსების საქმედ ვთვლიდით გუნდის უეფას ტურნირზე მონაწილეობას. მოკლე დროში შეუძლებელი შეძლეს ადამიანებმა. უნდა გენახათ 45-ე დღეს ბათუმში ჩამოსული უეფას კომისრის გაოცებული სახე. იგი წინა სტუმრობის დროს გადაღებულ ფოტოსურათებს დასცქეროდა და ახალგარემონტებულ ტრიბუნებსა და გასახდელებს ადარებდა. როგორც ჩანს, ეჭვობდა, სხვა სტადიონზე ხომ არ მომიყვანეს და მატყუებენო. მალე დარწმუნდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. ბუნებრივია, სტადიონს ნება დაერთო, მასპინძლობა გაეწია უეფას ტურნირისათვის. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გავიდა ხანი და ნაჩქარევად ჩატარებული სამუშაოების დროს დაშვებულმა ხარვეზებმა იჩინა თავი. თუმცა ის იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო, რომ სტადიონის დანგრევის მიზეზი გამხდარიყო.

სტადიონის გაყიდვას ბათუმში დღესაც ხელისუფლების მერკანტილურ მიზნებს უკავშირებენ. აჭარის რევოლუციის შემდგომ ბათუმში ყველაფერი ერთი ხელის მოსმით იყიდებოდა. ამ დროს კახა ბენდუქიძე ბობოქრობდა და ყიდდა ყველაფერს. ბათუმის „დინამოს“ სტადიონი, უფრო სწორად, ის ადგილი ზღვისპირას, სადაც იგი მდებარეობდა, ბევრს აღუძრავდა მადას. სტადიონი ადვილად რომ გაესხვისებინათ, ბათუმის „დინამოს“ დისკრედიტაცია იქნა ჩაფიქრებული. გუნდს თითქმის შეუწყდა დაფინანსება. საქართველოს პირველობის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობა შეუძლებელი გახდა ჯერ ფინანსური პრობლემების გამო, შემდგომ იმიტომ, რომ ფეხბურთელებს ანაზღაურება მიზერული ჰქონდათ და გუნდის სათანადო კლასის ფეხბურთელებით შევსება ვერ ხერხდებოდა. მას შემდეგ, რაც გუნდის ხელმძღვანელობიდან ცნობილი ფეხბურთელი რეზო ჩელებაძე წავიდა, „დინამო“ უარეს დღეში ჩავარდა. მალე იგი უმაღლეს ლიგას გამოეთიშა. ახლა უკვე სტადიონის გაყიდვას წინ რაღა დაუდგებოდა. თუ გუნდი არა გყავს, სტადიონი რაღად გინდათო, აყვედრიდნენ ბათუმელებს და მალე „დინამოს“ სტადიონი გაიყიდა.



როგორც მაშინ გავრცელდა ხმები, ეს პრესტიჟული ადგილი მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის ქართველმა მოადგილემ სოსო ორჯონიკიძემ იყიდა. გაიხსენეთ, ეს ის დროა, როცა ლუჟკოვს ბათუმში ზღვისპირას მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ჩამოართვეს, როგორც უკანონო. ასლან აბაშიძის მეგობრის განკულაკება და მისი მოადგილისათვის ქალაქის საუკეთესო ნაწილის მიყიდვა, დღემდე არაერთ უპასუხო კითხვას აჩენს. ბათუმის „დინამოს“ სტადიონის ადგილას ახლა მაღლივი კორპუსები შენდება. როგორც ქალაქდაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობის სპეციალისტები აცხადებენ, ქალაქის ზღვისპირა ზოლში მსგავსი მრავალსართულიანი შენობების აგება დანაშაულის ტოლფასია, რადგან იგი ქალაქის ჰაერიზაციას ხელს უშლის და ზღვისპირა დასახლების სილამაზეც იკარგება.

ასე იყო თუ ისე, ბათუმი, რომელსაც ხელისუფლება დიდ ევროპულ მომავალს უწინასწარმეტყველებს, სტადიონის გარეშე დარჩა. ზღვისპირა ქალაქს, რომელსაც საცურაო აუზი წინა ხელისუფლებამ წაართვა, სტადიონი ახალმა მთავრობამ ცხვირწინააწაპნა.

2007 წლის შემდეგ ამის გამო საზოგადოების უკმაყოფილება არ ცხრებოდა. ხელისუფლებამ არაერთხელ სცადა ბათუმელთა დამშვიდება სხვადასხვა განცხადებებით, მაგრამ ამას პრაქტიკული შედეგი აქამდე არ მოჰყოლია. ამ დღეებში კი დაადგა საშველი და გაცხადდა, რომ სტადიონის მშენებლობა მალე დაიწყება. იგი ბათუმის აეროპორტისაკენ მიმავალი გზისპირას, ანგისის სტადიონის ადგილას აშენდება. ამ მშენებლობის პროექტს ჰოლანდიური სამშენებლო საპროექტო ჯგუფი (MGOძ ამზადებს. ჩვენ სტადიონის დიზაინზე სამ თვეს ვიმუშავებთ, ეს ადგილი ჩინებულია „ჩვენი გეგმების განსახორციელებლად“, – თქვა პროექტის პრეზენტაციის დღეს ჯგუფის ხელმძღვანელმა მურის მაქთენსმა. შეთანხმების ხელმოწერას საქართველოსა და ჰოლანდიურ მხარეებს შორის აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძეც დაესწრო.

ახალი სტადიონი, რომელიც უეფას და ფიფას ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, 8 ჰექტარს დაიკავებს, ხოლო ტრიბუნები 12 ათას მაყურებელს დაიტევს. აქვე აიგება 100-ადგილიანი სასტუმრო და სავაჭრო ცენტრი. იქნება აგრეთვე რამდენიმე სავარჯიშო მოედანიც. როგორც ხელშეკრულებაშია აღნიშნული, მშენებლობა 24 თვეში დასრულდება.

რაც შეეხება სტადიონის მშენებლობის ღირებულებასა და დაფინანსების წყაროს, ამის თაობაზე ჯერჯერობით ბათუმში კონკრეტული ინფორმაცია არ ვრცელდება. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მათე ტაკიძის განცხადებით, მშენებლობას სავარაუდოდ ინვესტორები დააფინანსებენ. მსურველები არიან, მიმდინარეობს მოლაპარაკებები. როგორც მინისტრი აღნიშნავს, არც „დინამოს“ გასხვისებაა გამორიცხული. ამჟამად ბათუმის „დინამოს“ ქალაქის მერია აფინანსებს.

**ამირან კილურაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. ბათუმი.**

◎ ინტერნეტიდან

## ეს ლონდონის თილისმებია

**მოგეხსენებათ, რომ ტრადიციად იქცა ყოველი ოლიმპიური თამაშებისთვის თავისებური თილისმის ან თილისმების შექმნა. თუნდაც ძალზე პოპულარული მოსკოვური დათუნია გავიხსენოთ. და აი, ლონდონში გაიმართა 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის თილისმების წარდგენა, პრეზენტაციას რომ ეძახიან. ბოლოდროინდელი მოდის მიხედვით ახალი თილისმებიც ფანტასტიური არსებების სახითაა წარმოდგენილი, ამჯერად ცალთვალებად.**

ერთ-ერთი თილისმა „მონათლეს“ უენლოკად – ქალაქ მაჩ-უენლოკის პატივსაცემად, ოდესღაც ოლიმპიადის წინამორბედ შეჯიბრებებს რომ მასპინძლობდა, მეორეს კი მანდევილი დაარქვეს, ქალაქ სტოუკ-მანდევილის წვლილის აღსანიშნავად პარალიმპიური მოძრაობის დაფუძნებაში.



ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორების თქმით, ეს თილისმები აუცილებლად დაეხმარება ბავშვებს და წაახალისებს მათ სპორტის ოლიმპიური სახეობების დაუფლებისთვის.

## მარადონამ ჟურნალისტს გადაუარა



**იმ პრესკონფერენციის წინ, როდესაც ფეხბურთში მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე სამხრეთ აფრიკაში მიმავალი არგენტინის ნაკრების შემადგენლობა უნდა გამოეცხადებინა, ქვეყნის პირველი გუნდის წინამძღოლი დიეგო მარადონა ინციდენტში გაეხვია. ლეგენდარულმა ფეხბურთელმა მანქანით ფეხზე გადაუარა ჟურნალისტ-ოპერატორს, რომელიც მის გამოჩენას ელოდა. „რა ყეყეჩი ყოფილხარ, განა შეიძლება მანქანების სავალ ადგილზე დგომა?!“ – წამოიძახა 49 წლის მარადონამ. საბედნიეროდ, ოპერატორი უმნიშვნელოდ დაშავდა, მაგრამ ის მაშინვე მაინც გადაიყვანეს საავადმყოფოში.**

ნაკრებში კი მოხვდნენ: **მეკარეები** მარიანო ანდუხარი, სერხიო რომერო, დიეგო პოსო, **მცველები:** მარტინ დემიკელისი, ნიკოლას ოტამენდი, ვალტერ სამუელი, გაბრიელ ჰაინცე, კლემენტე როდრიგესი, ნიკოლას ბურდისო, არიელ გარსე. **ნახევარმცველები:** ხავიერ მასკერანო, ხონას გუტიერესი, ხუან სებასტიან ვერონი, ანხელ დი მარია, ხავიერ პასტორე, მარიო ბოლატი. **თავდამსხმელები:** ლიონელ მესი, მარტინ პალერმო, სერხიო აგუერო, გონსალო იგუაინი, კარლოს ტევესი და დიეგო მილიტო.

## სიღარიბესთან საბრძოლველად

**ტელესპექტაკლის „უფროსი ძმის“ მონაწილე იმოგენ ტომასი მოგვითხრობს, თუ როგორ მოვიდა გონს „ტოტენჰემისა“ და ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთან ჯერმეინ დეფოსთან განშორების შემდეგ, საიდანაც პირადი დრამის გამო წუხილის მიუხედავად, საქველმოქმედო საქმიანობამ გამოიყვანა.**



ქალიშვილი იყო აფრიკაში, სადაც ეხმარებოდა სულ მუდამ ქუჩაში მოწანწალე ბავშვებს, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთა ცოლების ან სატრფოების საქველმოქმედო საქმიანობით ქუჩას რომ აცდინეს. როგორც თავად იმოგენ ტომასი აცხადებს, არ გაჭირვებია პირადი ცხოვრებიდან ძალზე ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტაზე გადასვლა.

მადლიერება

# სიხარული ვარდობისთვეში

## 20 მაისს გაიხსნა ლიანა ასათიანის „ვარსკვლავი“



**დამჯაბნა ავადმყოფობამო, სამი წელია გარეთ არ გავსულვარ, ხან ფეხი მოვიტეხე, ხან მენჯ-ბარძაყი და ვარ ასე, მომვლელი ქალისა და მეგობრების იმედადო, — მეუბნება ქალბატონი ლიანა ასათიანი ნაღვლიანად და ცერად აჭრილ ულამაზეს თვალებში სხივი უდგება.**

— ახლა ხომ გაიხარეთ, ჩამოსულან შვილები — ერთი ინგლისიდან, მეორე — ამერიკიდან... თქვენი „ვარსკვლავის“ გახსნასაც დაესწრებიან...

— ასეთი გახარებული, მართლაც არ ვყოფილვარ კარგა ხანია... ნინომ შვილიშვილიც ჩამოიყვანა... ლექსოს ვაჟიშვილებს გამოცდები ჰქონიათ და, ვერ მოიცალესო...

— ესე იგი, მზადა ხართ კინოთეატრ „რუსთაველში“ მისასვლელად?..

— ჰო, რა ვიცი, თუ შევძელი მისვლა...

— რას ჰქვია, თუ შეძელი!.. სულ ასეა, ბატონო, მთელი ცხოვრება... ჩრდილში უყვარდა ყოფნა!.. მისთვის მთავარი იყო ოჯახი, შვილების აღზრდა, დიასახლისობა!.. — ეს ქალბატონი ცისანა ბოტკოველია, მუსიკათმცოდნე, ახლო მეგობარი ქალბატონი ლიანასი, რომელიც იქვე ზის და ჩემს მასპინძელს ახასიათებს:

— იგი ჩემთვის ქართველი ქალის იდეალია, ცხოვრების აკადემიაა, ლიანასგან ისწავლი ოჯახის ქალობას, ქცევას, თავდაჭერას... სხვათა შორის, ეს ყოველივე, კარგად ჩანს მის განსახიერებულ კინოროლებშიც, დაწყებული თეკლას სახით „გიორგი სააკაძეში“, თუმცა მაშინ, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო... იგი ზედმიწევნით განათლებულია, წიგნიერია, უზუსტესი შემფასებელია სხვადასხვა სახის მუსიკალური ნაწარმოებისა, ისეთი ნიუანსები ესმის, მუსიკათმცოდნეებს რომ შეშურდებათ...

ამასობაში გავიცანი ნინო თორაძე და მისი ქალიშვილი ნინი ბეგიშვილი — მუსიკათმცოდნენი — ქალბატონი ლიანას სიხარულები, მაგრამ მთავარი — ლექსო თორაძე — სად არის?..

—ერთი ფეხით გაგასწროთ, —მეუბნება ქალბატონი ლიანა, —მოგვიანებითაც შეიძლება მასთან გასაუბრება... ნიუ-იორკის შტატის საპატიო დოქტორის მანტიის მფლობელი გამხდარა, ბატონო!.. დოკუმენტური ფილმიც გადაუღიათ ლექსოზე, როგორც უდიდეს პიანისტსა და პედაგოგზე...

— ვეცდები — ვნახო... ახლა კი დაგემშვიდობებით და დაველოდები კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ თქვენი „ვარსკვლავის“ გახსნას.

— დიდი მადლობა — და ქალბატონ ლიანა ასათიანს ისევ უბრწყინავს ულამაზესი თვალები.

* * *

ეს 20 მაისს შუადღისას იყო, საღამოს 8 საათზე კი კინოთეატრ „რუსთაველში“ შეკრებილი საზოგადოება გულმხურვალედ მიესალმებოდა ქალბატონს, რომელსაც თავადიშვილური პეწი და იერი არც ხანშიშესულობისას დაუკარგავს, სრულიად ახალგაზრდა კი მართლაც „ვარსკვლავად“ მოევლინა ქართულ ეკრანს და, მერე და მერე, ბევრი დასამახსოვრებელი სახე შექმნა.

ყოველივე ამის შესახებ საღამოზე ვრცლად ისაუბრა ბატონმა ოთარ კობერიძემ, უჩვენეს ფოტო და კინოკოლაჟი, ბოლოს კი კინოთეატრის წინ გაიხსნა ლიანა ასათიანის „ვარსკვლავი“, როგორც კიდევ ერთი მადლიერება მშობელი ხალხისა!..

**ვილენ მარდალეიშვილი**

**სურათებზე: კინოთეატრ „რუსთაველში“ ლიანა ასათიანის სიხარულს, უპირველესად, შვილები — ლექსო და ნინო თორაძეები იზიარებდნენ; ლიანა ასათიანის „ვარსკვლავი“.**



ეს საინტერესოა

### ორი სიტყვით ერთი ამბის შესახებ

**11 იანვარს**, გაეროსა და იუნესკოს ინიციატივით მსოფლიოში „მადლობის“ დღეს აღნიშნავენ.

* * *

**ოფიციანტისთვის** ნათქვამი „მადლობა“ მომსახურების სისწრაფესა და ხარისხს ამაღლებს.

* * *

**მომსახურეთა** მხოლოდ 16 პროცენტისთვის ნიშნავს რაღაცას უფროსობის სიტყვიერად გამოხატული მადლიერება.

* * *

**ცოტა** ხანში ბერლინის ქუჩებში... მოლაპარაკე ურნებს დადგამენ, რომლებიც სხვადასხვა ენაზე და სხვადასხვა სიტყვებით მადლობას გადაიხდიან მათში ჩაგდებული ნაგვის გამო.

* * *

**სამხრეთ** კორეაში თითქმის არასდროს იხდიან მადლობას იმიტომ, რომ დახმარების გამწევი ადამიანი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენონ.

* * *

**ყველაზე** ხშირად მადლობას იხდიან ნიუ-იორკში, ყველაზე იშვიათად კი — ბომბეიში. 42 „ზრდილი“ მეგაპოლისის რეიტინგში მოსკოვი, რომელიც დიდად იწონებს თავს მცხოვრებთა თავაზიანობით, 30-ე ადგილზე გავიდა.

გასწორება

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 21 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭო საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის თაობაზე, მისამართში დაშვებულია შეცდომა, უნდა იყოს: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74 ბ.**

**გამომცემლობა „ინტელექტი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე**

**მუხრან მაჭავარიანი.**

---

**უახლოესი მეგობრები თინა ჭიჭინაძე, დონარა სალაძე, თინა კოტეტიშვილი, ლუიზა გვასალია თანაუგრძნობენ ლუიზა მაჭავარიანს უსაყვარლესი ბიძის**

**მუხრან მაჭავარიანის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ალეკო კაკულია, ნინო ბეჟიტაშვილი თანაუგრძნობენ ლორიკ მარშანიას და მის ოჯახს ძვირფასი მეუღლისა და უსათნოესი ქალბატონის**

**მერი გუგუშვილი-მარშანიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**შვილები თამაზ, მარინა, შვილიშვილები დათო, ეკა ყავლაშვილები, ირაკლი, რეზო ტყემალაძეები, შვილთაშვილები, რძლები ლილი ჯანგიძე, თამუნა აფციაური, მერი კვიჭიძე, ნინო ფილფანი, სიძეები გია ტყემალაძე, ირაკლი საამიშვილი იუწყებიან**

**ნაზიკო ჩიკვილაძე-ყავლაშვილის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22 V, 17 სთ. დაკრძალვა 23 V, 15 სთ. მიცკევიჩის ქ. 23, სადარბაზო I.**

---

**რევაზ და ლილი ტყემალაძეები მწუხარებას გამოთქვამენ მძახლის**

**ნაზიკო ჩიკვილაძე-ყავლაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

ინფორმაცია

### დახეული ბანერები და საარჩევნო პლაკატები

**დაუდგენელმა პირებმა ყვარელში „ალიანსი საქართველოსთვის“ საარჩევნო შტაბის კუთვნილი ნივთები გაანადგურეს.**

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან იტყობინებიან, შტაბის ხელმძღვანელის ნუგზარ ლონიაშვილის განცხადებით, ჩამოჭრილია საარჩევნო ბანერი და დახეულია პლაკატები.

—კიბეს თუ არ გამოიყენებდნენ, ისე ბანერს ვერც ჩამოჭრიდნენ. შტაბის ოფისი ყვარლის ცენტრში მდებარეობს, ქუჩა განათებულია, ხალხი ცხოვრობს. შეუძლებელია, ისე ჩამოეჭრათ, რომ ვერავის დაენახა. ეს არის ხელშეშლა წინასაარჩევნო კამპანიაში, — აღნიშნა ლონიაშვილმა.

მომხდართან დაკავშირებით ყვარლის პოლიციაში გამოძიება დაწყებული არ არის.

### ნარკოგამსაღებელი თუ პოლიტპატიმარი?

**დაკავებული თანაპარტიელის კოტე გომელაურის გათავისუფლებას მოითხოვენ მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსათვის“ წარმომადგენლები. ამ მიზნით ისინი პოლიციის სამმართველოსთან შეიკრიბნენ.**

როგორც იტყობინებიან გომელაურის მეგობრები, მას სამართალდამცავებმა ავტომობილში ნარკოტიკული ნივთიერება ჩაუდეს, შემდეგ კი უკანონოდ დააკავეს. მოგვიანებით გომელაურის სახლიც გაჩხრიკეს. ადვოკატის თქმით, სამართალდამცავებმა სახლიდან ნივთმტკიცებები ვერ ამოიღეს.

ავტოსაგზაო შემთხვევა ბუშის ქუჩაზე ხუთშაბათს მოხდა.

გომელაური მანქანით ტროტუარზე ავარდა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილზე მისულმა საპატრულო პოლიციამ გომელაური დააკავა.

მას ბრალად ავტოავარიის შედეგად სხეულის დაზიანება და ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა-გადაზიდვა ედება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ხსოვნა

## თენგიზ ჟორჟოლიანი



**ქართულმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ქართველ მშენებელთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს მშენებელთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტი, საინჟინრო აკადემიის წევრი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და ღირსეული მოქალაქე თენგიზ დავითის ძე ჟორჟოლიანი.**

**ბატონი თენგიზი განეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთა მოწოდება იყო მიმდინარე მოვლენების შუაგულში ყოფნა და გახლდათ მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ადამიანი საკუთარ ხალხს და სამშობლოს.**

**ბატონი თენგიზი დაიბადა 1940 წლის 21 ოქტომბერს ქ. სევასტოპოლში. თენგიზის მამა, ბატონი დავითი გახლდათ უმაღლესი კატეგორიის ინჟინერ-მშენებელი, რომელიც წარმატებით აწარმოებდა ქ. სევასტოპოლის თავდაცვითი საფორტიფიკაციო ნაგებობების სამშენებლო სამუშაოებს და შემდგომში ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას.**

**ბატონი თენგიზი გაჰყვა მამის გზას და წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი.**

1969 წლიდან ბატონი თენგიზი მუშაობას იწყებს მშენებლობის სამინისტროს სისტემაში და განვლო გზა მშენებელი ოსტატიდან ტრესტის მმართველამდე.

1981-84 წლებში მუშაობდა მშენებლობის სამინისტროს მთავარი საწარმო სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1985-90 წლებში ბატონი თენგიზი სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაშია, სადაც განვლო გზა ტექნიკური სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან მინისტრის მოადგილის თანამდებობამდე.

1990 წელს ბატონ თენგიზს ირჩევენ მშენებელთა კავშირის პრეზიდენტად.

1990 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი იყო სააქციო საზოგადოება „ბიზნესცენტრის“ კონსულტანტი.

დიდია ბატონი თენგიზის დამსახურება საქართველოს სახალხო მეურნეობის სამრეწველო და სამოქალაქო ნაგებობათა მშენებლობაში. ბატონმა თენგიზმა თავის მეუღლესთან ერთად შექმნა კარგი ქართული ოჯახი და აღუზარდა ქვეყანას ორი ღირსეული შვილი.

წავიდა ჩვენგან თავის ხალხსა და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცი, რომელსაც მტკიცედ სწამდა, რომ მისი სამშობლო ბედნიერი და აყვავებული იქნება.

ღმერთმა უსმინოს მას.

მსუბუქი იყოს, ბატონო თენგიზ, თქვენთვის საყვარელი ქართული მიწა.

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია,
სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“,
სააქციო საზოგადოება „სოფმშენი“,
მეგობრები და კოლეგები

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## სულიერება

# სულთმოფენობა



**23 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი წმიდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს უდიდეს საუფლო დღესასწაულს — სულთმოფენობას.**

...ამაღლებიდან მეათე დღეს ცეცხლის ენების სახით ზეციდან გარდამოხდა სულიწმინდა. ამ ათი დღის განმავლობაში წმიდა მოციქულები პეტრე, იოანე, იაკობი, ანდრია, ფილიპე, თომა, ბართლომე, მატთეოსი, იაკობ ალფესი, სიმონ მოშურნე (რომლის ხსენებაც არის დღესძ და იუდა იაკობისი განუწყვეტლად ლოცულობდნენ. მათთან ერთად იმყოფებოდნენ ყოვლადწმინდა მარიამი, მენელსაცხებლე დედები და იესო ქრისტეს ხორციელი ძმები.

იესო ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, როცა მოციქულები ერთად იყვნენ შეკრებილნი, ზეციდან შემაძრწუნებელი ქუხილის ხმით გარდამოვიდა სულიწმინდა და აღივსო მთელი სახლი, გაიყო ცეცხლის ენების მსგავსად და თორმეტ მოციქულს დაადგა თავზე. ღვთიური მადლითა და სულიწმინდის ნიჭით აღივსნენ მაცხოვრის მოწაფეები. ალაპარაკდნენ სხვადასხვა ენაზე და იერუსალიმში, სადაც თავი მოეყარათ „კაცთა ღმრთის მოშიშეთა ყოველთაგან თესლთა, რომელნი არიან ქუეშე“, უქადაგეს ქრისტიანობა თითოეულს თავის ენაზე...

..ასე მოეფინა სულიწმინდა ყოველ ხორციელს და აღსრულდა იოელ წინასწარმეტყველის პირით ნათქვამი უფლის აღთქმა: „მივფინო სულისაგან ჩემისა ყოვლისა ზედა ხორციელსა და წინასწარმეტყველებდნენ ძენი თქვენი და ასულნი თქვენი, და ჭაბუკნი თქვენი ხილვასა იხილავდნენ და მოხუცებულთა თქვენთა ჩვენებით განვეცხადო“.

ქვეყანა საცდურით სავსე, აივსო ღვთიური სიბრძნით; ჭეშმარიტების ნათელი მოეფინა ადამიანთა სულებს.

**გიული ლიპარტია**

## დღის კალენდარი

## 22 მაისი

**სულის შაბათი. მიცვალებულთა ხსენება, წინასწარმეტყველისა ესაიასი ( VIII ს. ქრისტეს შობამდეძ; მიცვალება ღირსისა შიო დიდისა, მღვიმელისა, სასწაულმოქმედისა; ღირსისა ევაგრე ციხედიდელისა (VIძ; მოწამისა ქრისტეფორესი (დაახლ. 250ძ; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ნიკოლოზ სასწაულმოქმედისა მირონ ლუკიიდან ბარიში (1087ძ.**



**ამოდის 04.35**
**ჩადის 19.20**



**ამოდის 13.21**
**ჩადის 10.02**

### დაიბადნენ:

**1813 — რიჰარდ ვაგნერი,** გერმანელი კომპოზიტორი, ბაიროიტის მუსიკალური თეატრის (ოპერისძ დამაარსებელი. გარდაიცვალა 1883 წელს.

**1856 — ვასილ ბარნოვი,** მწერალი. გარდაიცვალა 1934 წელს.

**1859 — არტურ კონან დოილი,** ინგლისელი მწერალი. გარდაიცვალა 1930 წელს.

**1907 — ლორენს ოლივიე,** გამოჩენილი ინგლისელი თეატრისა და კინოს მსახიობი, რეჟისორი. გარდაიცვალა 1994 წელს.

**1924 — შარლ აზნავური,** ფრანგი მსახიობი, მომღერალი.

### გარდაიცვალნენ:

**337 — კონსტანტინე I დიდი,** რომის იმპერატორი, კონსტანტინოპოლის დამაარსებელი.

**1885 — ვიქტორ მარი ჰიუგო,** ფრანგი მწერალი.

### მოვლენები:

**1856** — მოსკოვში შეიქმნა ტრეტიაკოვის გალერეა.

**1920** — თბილისის უნივერსიტეტის ახლანდელი სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა საბჭოს სხდომა, რომელიც გახსნა კორნელი კეკელიძემ. საჯარო სხდომაზე უნდა გამართულიყო პირველი დისპუტი ქართულ ენაზე სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რომელიც წილად ხვდა 33 წლის აკაკი შანიძეს. მისი დისერტაცია დაცულია უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდში.

**1972** — ცეილონი შრი-ლანკის რესპუბლიკად გამოცხადდა.

**1972** — პირველად მოსკოვში ვიზიტით ჩავიდა აშშ-ს პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ჰაიტი** — დამოუკიდებლობის დღე.

**შრი-ლანკა** — რესპუბლიკის დღე.

**იემენი** — იემენის ერთიანობის დღე.

**მედიანიუსი**

## დაიჯესტი

### უებარი გამაყუჩებელი

**ფიზიკური ტკივილით გამოწვეული ცრემლები, თურმე, ანალგეტიკები ყოფილა, რომლებშიც მორფინის მსგავსად მოქმედ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს შეიცავენ. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ცრემლებს ანტიბაქტერიული და ვირუსსაწინააღმდეგო მოქმედება ჰქონიათ — მათში აღმოაჩინეს ფერმენტი ლიზოციმი, რომელსაც 5-10 წუთში ბაქტერიების 95 პროცენტის მოსპობა შეუძლია. ამდენად, დაჭრილი მეომრების იარებზე ცრემლის დაპკურების უძველეს წესს საფუძვლად რაციონალური მარცვალი უდევს.**

ნათელი ცრემლები, რომლებსაც ადამიანები სიხარულისა და გულაჩუყებისგან ღვრიან, ადრენალინის შემცველობას აქვეითებენ, რომლის დონე სისხლში ნებისმიერი აღგზნების დროს მატულობს. ამასთან, თურმე, ცრემლების სამკურნალო თვისება მარტო



იმაზე კი არ არის დამოკიდებული, თუ რის გამო ტირის კაცი, არამედ იმაზე, თუ ვის წინაშე ტირის. მსოფლიოს მრავალ კლინიკაში ჩატარებული დაკვირვებით დადასტურდა, რომ ცრემლები ადამიანს შვებას მხოლოდ მაშინ გვრიან, როცა მათ „სოციალური მხარდაჭერით“ უზრუნველყოფენ, გარშემო მყოფთაგან ემოციური თანადგომისა და თანაგრძნობის მოპოვებაში ეხმარებიან.

### ... ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი მსახიობი ვარ!

**საქვეყნოდ ცნობილი კინოვარსკვლავს პენელოპა კრუზს თურმე თავი სუპერსექსუალური სულაც არ ჰგონია.**



— ერთხელ ჟურნალმა „ფიტნესმა“ „საუკეთესო სხეულის“ ჯილდო მომანიჭა, მაგრამ მისი მიღება შემრცხვა, — ამბობს პენელოპა. — სიმართლე გითხრათ, სულაც არა მაქვს საუცხოო სხეული, თუმცა რადგან ხალხი ასე ფიქრობს, მაშასადამე კარგი მსახიობი ვარ. ისე, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, თუკი გემოვნებით ჩაცმა იცით, მაშასადამე სილამაზის ზოგ ხერხს ფლობთ.

ისე კი, ვმუშაობ ყოველთვის დიდი ხალისით, ის ჩემს პიროვნულ სტატუსს ამაღლებს, ავითარებს ნიჭს, მმატებს საკუთარი ძალების რწმენასა და, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, ეკონომიკურად დამოუკიდებელს მხდის.

### უპასპორტო პანი

**უკრაინელმა ევგენია კუზიშკინამ ცხოვრებაში პირველი პასპორტი... 87 წლის ასაკში აიღო! სიცოცხლის თითქმის ცხრა ათეული წლის მანძილზე მან საქართველოშიც იცხოვრა და რუსეთშიც, 30 წლის წინათ კი პოლტავის ოლქში მშობლიურ სოფელში დაბრუნდა.** გასაოცარი კი ის არის, რომ ამ ხნის განმავლობაში პანი კუზიშკინასთვის პასპორტი არავის მოუკითხავს. ახლობლებმა მისთვის პირადობის მოწმობის გაკეთება იმიტომ გადაწყვიტეს, რომ ცხოვრებაში პირველი პენსიის აღება შეძლებოდა.

„ოჯახის მკურნალი“

ჰომეოპათიის (თ. ალაშვილი — დირექტორიძ, ქართული ტრადიციული მედიცინის (ნ. ნაჭყებიაძ, ბავშვთა მანუალური თერაპიის (თ. მიმინოშვილიძ, მასაჟის და სამკურნალო ფიზკულტურის კლინიკა

რუსთაველის 28/ალ. ჭავჭავაძის 2ა, 98-64-86, 98-99-55, (899ძ 55-99-61.
www.alashvili.com

## ანეკდოტები

**მიხოს კლასი მუზეუმში წაიყვანეს ვენერას სტატუის დასათვალიერებლად.**

**მეორე დღეს მასწავლებელმა ბავშვებს ჰკითხა, მითხარით, ვის რა მოგეწონათო.**

**— ლამაზი მხრები აქვს.**

**— ძალიან ლამაზი სახე აქვს.**

**— ლარივით ფეხები აქვს.**

**— ლამაზი მკერდი აქვს.**

**უცებ ნიკამ წამოიძახა:**

**— ძალიან მაგარი დუნდულები აქვს, აი!**

**— როგორი ტუტუცი ხარ! ახლავე გადი კლასიდან და უმშობლოდ აქ ფეხი არ შემოადგა, შე უზრდელო, შენა! — აწივლდა მასწავლებელი.**

**ნიკა გავიდა. უცებ მიხოც წამოხტა და მას მიჰყვა.**

**— მიხო, სად მიდიხარ?**

**— მაინც გამაგდებ, მასწ, — ვენერას ერთი ორგანოღა დარჩა დაუსახელებელი და...**



*** * ***

**განცხადება: კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტს სჭირდება ოდნავ მაინც კეთილშობილი ფიზკულტურის მასწავლებელი.**

*** * ***

**ივანიჩის სახლში ქეიფი გვიან ღამემდე გაგრძელდა. სუფრაზე ბევრი სასმელ-საჭმელი დარჩა.**

**დილით ცოლი სამსახურში წავიდა. საღამოს რომ დაბრუნდა, არაფერი დახვედრია. გალეშილ ქმარს სავარძელში ჩასძინებოდა.**

**— რა დღეში ხარ, სად არის არაყი, სალათა, სხვა საჭმელი?**

**— აბა, რა გეგონა, რახან სამსახურში წახვედი, ცხოვრება გაჩერდებოდა?..**

*** * ***

**ქალური ლოგიკა:**

**— დაიგვიანე და ბოდიშიც არ მოგიხდია! — საყვედურობს ქალი კაცს.**

**— ბოდიშს გიხდი, მაპატიე, საყვარელო.**

**— ჯანდაბამდეც გზა გქონია შენი ბოდიშიანად!**

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.